

გამსახურდიას დაცვის ყოფილი წევრები მუქარისა და შანტაჟის შეწყვეტას მოითხოვენ
A2



"გულახდილად"
A4



მარჯვნივ და მარცხნივ
A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი · შაბათი, 24 დეკემბერი, 2005 წელი. №286 (1146) · ფასი 50 თეთრი

## ამბები

### თბილისში სამომხმარებლო ფასების საერთო დონე გაიზარდა

თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა ერთი კვირის მანძილზე (16 დეკემბერი - 22 დეკემბერი) 100.03 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100.81 პროცენტი იყო.

A2

## ამბები

### საპატრიარქოში სახალხო დამცველის პოზიცია გაუგებრად მიაჩნიათ

საქართველოს საპატრიარქოში გაუგებრად მიაჩნიათ სახალხო დამცველის სოზარ სუბარის პოზიცია, რომელიც სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმების - კონკორდატის პარლამენტის მხრიდან გადახედვას ითვალისწინებს.

A2

## ამბები

### ხელისუფლებას სასამართლოზე პოლიტიკურ ზეწოლაში ადანაშაულებენ

არასამთავრობო ორგანიზაცია "კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი" საქართველოს ხელისუფლებას სასამართლოზე პოლიტიკურ ზეწოლაში ადანაშაულებს და სამოქალაქო საზოგადოებას მართლმსაჯულების ობიექტურობის დასაცავად გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

A3

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 24/12 | 25 /12 |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | 5 |
| თბილისი | 10 | 5 |
| ტყიბული | 10 | 5 |
| სოხუმი | 5 | 5 |
| გორი | 6 | 3 |
| ონი | 1 | 0 |
| ზუგდიდი | 8 | 6 |
| ახმეტა | 10 | 5 |
| გაგრა | 4 | 3 |
| სამტრედია | 10 | 7 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7800 |
| ევრო | 2.1126 |
| გირვანქა სტერლ. | 3.0930 |
| რუბლი | 0.0618 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| კვირა | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| კონკურსი | A 6 |
| კონკურსი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# არასამთავრობოები პრეზიდენტისგან კანონზე ვეტოს დადებას ითხოვენ

*"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები მიუღებლად მიიჩნევენ და საქართველოს პრეზიდენტს კანონზე ვეტოს დადებას სთხოვენ.*

თამარ დვალი

სანამ საქართველოს პარლამენტი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონს მიიღებდა, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საკანონმდებლო ორგანოს თავიანთი ალტერნატიული ვარიანტი შესთავაზეს, თუმცა პარლამენტისგან უარი მიიღეს.

**"სხვადასხვა პროცედურული ნიუანსების გამოყენებით, პარლამენტში მოახერხეს, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებული ალტერნატიული კანონპროექტი განხილვის ღირსადაც არ გაეხადათ. ხელისუფლება ცდილობს, ძალაუფლების დეცენტრალიზაციის ნაცვლად, მისი ცენტრალიზება მოახდინოს. ამ შემთხვევაში მას უბრალოდ არ ესმის, რომ ეს შეუძლებელია,"** - განაცხადა გუშინ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრაზე მისულმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა ნიკოლოზ ორველაშვილმა.

არასამთავრობოების აზრით, დაუშვებელია, რომ ახლადმიღებული კანონის თანახმად, ხუთი ქალაქის გარდა, საქართველოს ყველა ქალაქში, ასევე სოფლებსა და თემებში უქმდება თვითმმართველობა. ამან შესაძლოა მრავალი პრობლემა შექმნას. კერძოდ, ამ კანონის ამოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დაასუსტოს მონაწილეობითი დემოკრატიის ხარისხი; შეაფერხოს ქვეყნის ურბანული განვითარება; გაზარდოს მოსახლეობის მიგრაცია თვითმმართველობის ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებში, რაც სახელმწიფოს დამატებით სოციალურ პრობლემებს შეუქმნის. ასევე მოსალოდნელია, მნიშვნელოვნად შემცირდეს რაიონის შიგნით საბიუჯეტო სახსრების განაწილების ადეკვატურობისა და გამჭვირვალობის ხარისხი, რაც თავისთავად კორუფციის ზრდას გამოიწვევს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ომბუდსმენმა წლიური ანგარიში ცარიელ დარბაზს ჩააბარა

*სახალხო დამცველს სოზარ სუბარს თუკი აქამდე მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლების კრიტიკის მოსმენა და მათ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა უწევდა, გუშინ მას საკანონმდებლო ორგანოში ის დეპუტატებიც კი დაუპირისპირდნენ, რომლებიც გამუდმებით იცავდნენ ომბუდსმენს. საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წევრებმა გუშინ პარლამენტის სხდომაზე სახალხო დამცველის წინააღმდეგ ერთობლივი დემარში განახორციელეს. პარლამენტში წლიური ანგარიშის ჩასაბარებლად მისულ ომბუდსმენს, ფაქტობრივად, ცარიელ დარბაზში მოუწია გამოსვლა.*



გაგრძელება A3 გვერდზე

# იტალია ამერიკელ აგენტთა წინააღმდეგ

მილანის მართლმსაჯულებამ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს 22 აგენტზე გასცა დაპატიმრების ბრძანება. როგორც საინფორმაციო სააგენტო "როიტერსი" იტყობინება, ამერიკელ აგენტებს 2003 წელს ეგვიპტური წარმოშობის იმამის ჰასან ნასრას (იგივე აბუ ომარი) გატაცებასა და წამებაში ედებათ ბრალი.

მილანის პროკურატურას მიაჩნია, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოპერაცია იტალიის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა იყო.

აღსანიშნავია, რომ მილანის სასამართლოს მიერ გაცემული ორდერი ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს. ევროკავშირის 25 წევრიდან ნებისმიერში იტალიის მიერ ძებნილი პირების აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი უნდა დააპატიმრონ და მილანში გადააგზავნონ.

გაგრძელება A3 გვერდზე



*იტალიელთა ანტიამერიკული განწყობის მიუხედავად, ბერლუსკონი მოკავშირეს ჯერჯერობით არ ღალატობს.*

# გორში ოფიციალური დოკუმენტი მიიღეს

### რაიონული საავადმყოფოს ადგილზე ჰოსპიტალი იხსნება

*მას შემდეგ, რაც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გორის რაიონის საავადმყოფოს ექიმებს პირადად აცნობა, რომ საავადმყოფო ჰოსპიტლად გადაკეთდება, მედპერსონალმა დაუმორჩილებლობის კომიტეტი შექმნა, თუმცა მაშინ საავადმყოფოში არანაირი ოფიციალური დოკუმენტი არ იყო მოსული. ამჯერად ექიმებს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალურად აცნობეს.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

21 დეკემბერს გორის რაიონული საავადმყოფოს ექიმებმა პრესკონფერენცია გამართეს, რომელიც საქართველოს მთავრობის 15 დეკემბრის დადგენილებას ეხებოდა.

**"საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტალის განთავსების მიზნით გადაეცეს ქ. გორში ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე გორის ცენტრალური რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების შენობა-ნაგებობები და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი,"** - ნათქვამია დადგენილებაში.

ჯანდაცვის რეგიონული სამმართველოს უფროსის ვასიკო ბეთლემიძის განცხადებით, **"მთავრობის დადგენილებაში არსად არ არის მინიშნებული, რომ ჯანდაცვის მინისტრს ვინმე რამეს ეკითხება. იქ ცალსახად არის მინიშნებული, რომ ჭიპაშვილს მხოლოდ არსებული კონტინგენტის სხვა სამედიცინო დაწესებულებებში გადანაწილება ევალება. რაიონის საავადმყოფოს შენობიდან არ გადავა ინფექციური დაწესებულებები, კერძოდ, ტუბდისპანსერი და პოლიკლინიკა."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ხმაურში შობილი კანონები

გიორგი ასანიშვილი

ერთი უბედურებაა, როდესაც დეპუტატები პარლამენტის სხდომებზე არ დადიან, მეორე - როდესაც დადიან. პირველ შემთხვევაში კვორუმი არ გროვდება და მუშაობის დაწყება ჭიანურდება, მეორე შემთხვევაში კი სხდომათა დარბაზში ხმაური და აურზაურია.

ბოლო სხდომაზე დეპუტატები კეთილსინდისიერად ცხადდებიან და საკანონმდებლო ორგანოში სრული "ანშლაგია", რაც პარლამენტის თავმჯდომარეს დამატებით სიძნელეებს უქმნის.

**"ერთი-ორი წუთით ამობრძანდით პრეზიდიუმში და თავად დარწმუნდებით, როგორი გუგუნი და ხმაურია. ქალბატონი ელენე ბოლო რიგში ზის, მაგრამ ტელეფონზე მისი საუბარი აქამდე აღწევს,"** - ნინო ბურჯანაძე მთელი დღის განმავლობაში ამაოდ ამუნათებს დეპუტატებს. მის ლექსიკაში უკვე მტკიცედ დამკვიდრდა გამოთქმები: "ნუ დატოვებთ დარბაზს, კენჭისყრები გვაქვს ჩასატარებელი", "მოშორდით სამთავრობო ლოჟას და გააგებინეთ მინისტრებს, რას ლაპარაკობენ დეპუტატები", "ესა და ეს დეპუტატები (ასახელებს კონკრეტულ გვარებს) ხელს გვიშლიან" და სხვა.

ნინო ბურჯანაძის გარდა, პარლამენტართა ქცევას ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანიც აკრიტიკებს. **"ვერ ვასწავლე ამ ხალხს, რომ როდესაც პრემიერ-მინისტრი ბიუჯეტის პროექტს წარმოადგენს, დარბაზში არ იარონ და ხმამაღლა არ ილაპარაკონ,"** - აღშფოთება ვერ დამალა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, როდესაც ხუთშაბათს ზურაბ ნოღაიდელს მოხსენების ნორმალურად გაკეთების საშუალება არ მიეცა.

ასეთ პირობებში პარლამენტი მაინც წარმატებით ახერხებს კანონების მთელი "დასტის" მიღებას. გუშინ დეპუტატებმა, სხვადასხვა მოსმენით, რამდენიმე ათეულ კანონპროექტს უყარეს კენჭი. პარლამენტმა 162 ხმით, 20-ის წინააღმდეგ, დაამტკიცა 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, მოიწონა საკონსტიტუციო ცვლილებები (170 მომხრე, 8 წინააღმდეგი), რომელიც მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზის შემცირებას ითვალისწინებს, მესამე მოსმენით მიიღო კანონპროექტი "სახელმწიფო პენსიების შესახებ", აგრეთვე, საარჩევნო კოდექსში შეიტანა დამატებები, რომლითაც მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის ახალი წესი განისაზღვრება.

# შალვა რამიშვილი კოლეგებს თხოვნით მიმართავს

*"შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე 27 ნოემბრიდან დღემდე უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან, ამიტომ ისინი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ," - აცხადებენ დაკავებულთა ადვოკატები.*

მათი განცხადებით, სწორედ 27 ნოემბერს ამოიწურა რამიშვილისა და კოხრეიძის წინასწარი პატიმრობის სამთვიანი ვადა. ერთ-ერთი ადვოკატის სანდრო ბარამიძის განცხადებით, მათ წინასწარ პატიმრობა თავიდანვე დაუსაბუთებლად და უკანონოდ შეუფარდეს. თუმცა, მაშინ ფორმალურად მაინც არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, რამიშვილის საქმის მოსამართლის გიორგი შავლეიშვილის ბრძანება, რომლის საფუძველზეც, მათ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

**"შავლეიშვილი დაპატიმრების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებდა, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რამიშვილი და კოხრეიძე ტელეკომპანიის თანამშრომლებზე ზეწოლას მოახდენდნენ, რითაც ხელს შეუშლიდნენ საგამოძიებო პროცესის ნორმალურად წარმართვას. თუმცა, გამოძიება ისე დამთავრდა, რომ არც ერთი თანამშრომელი არ დაკითხულა.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## "ბრიტანეთის ავიახაზების" რეისებში ცვლილებებია

13 დეკემბერს ლონდონის მახლობლად მომხდარი ნავთობტერმინალის აფეთქების გამო, ავიაკომპანია "ბრიტანეთის ავიახაზებისთვის" განკუთვნილი საწვავის რაოდენობა შეიზღუდა. ამის გამო ავიაკომპანიას ფრენის განრიგში გარკვეული ცვლილებები შეაქვს. ცვლილებები ძალაში იქნება 2006 წლის 10 იანვრიდან 25 მარტამდე. ამჯერად "ბრიტანეთის ავიახაზების" ფრენები განხორციელდება არა პირდაპირ, არამედ ერევნის გავლით. შეიცვლება ფრენის დღეებიც: "ბრიტანეთის ავიახაზები" თბილისიდან იფრენს ყოველ ოთხშაბათს, პარასკევსა და კვირას. ლონდონიდან თბილისის მიმართულებით ფრენები განხორციელდება ყოველ სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს. დამატებითი ინფორმაციისთვის სამოგზაურო აგენტს მიმართეთ.

*24 საათი*

## გამსახურდიას დაცვის ყოფილი წევრები მუქარისა და შანტაჟის შეწყვეტას მოითხოვენ

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრები ხელისუფლებისაგან ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის ხელახლა გამოძიებას, მათ რეაბილიტაციას და პრეზიდენტის ქვრივის მანანა არჩვაძე-გამსახურდიასაგან მათ წინააღმდეგ ცილისწამებისა და მუქარის შეწყვეტას ითხოვენ. მათი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, საქართველოს დატოვებენ.

ასეთი განცხადება გააკეთეს, პრეზიდენტ გამსახურდიას დაცვის ყოფილმა წევრებმა რობინზონ მარგველანმა, ზაზა ბურჯანაძემ, ბადრი გოგელაშვილმა, გოჩა კიკნაძემ, ზაზა ლიპარტელიანმა, ვაჟა ჯინჭარაულმა და ბაჩუკი გვანცელაძემ.

**"ხელისუფლებას მოვუწოდებთ, გამოიძიონ საუკუნის მკვლელობის საქმე - პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა. თუ დასასჯელები ვართ დაგვსაჯონ, თუ არა და რეაბილიტაციას ვითხოვთ",** - განაცხადა პრეზიდენტ გამსახურდიას დაცვის ყოფილმა უფროსმა რობინზონ მარგველანმა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც მან და მისმა მეგობრებმა პრესაში დაბეჭდეს მოგონებები პრეზიდენტ გამსახურდიას უკანასკნელი დღეების შესახებ, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლისაგან და პრეზიდენტ გამსახურდიას ქვრივის მანანა არჩვაძე-გამსახურდიასაგან მათი მისამართით არ წყდება მუქარა და შანტაჟი.

მარგველანის განცხადებით, მას და დაცვის სხვა წევრებს, ვინც ბოლომდე უერთგულა პრეზიდენტ განსახურდიას და უკანასკნელ წუთებამდე მასთან ერთად იყო, ეჭვი არ ეპარებათ, რომ პრეზიდენტმა გამსახურდიამ თავი მოიკლა.

პრეზიდენტ გამსახურდიას დაცვის ყოფილი წევრების განცხადებით, პრეზიდენტ გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით საზოგადოებას არ უნდა აწუხებდეს საეჭვო შეკითხვები. სწორედ ამიტომაც, ისინი ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვენ გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიებას და ყველა საეჭვო კითხვაზე პასუხის გაცემას.

*ინტერპრესნიუსი*

## თბილისში სამომხმარებლო ფასების საერთო დონე გაიზარდა

თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა ერთი კვირის მანძილზე (16 დეკემბერი - 22 დეკემბერი) 100.03 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100.81 პროცენტი იყო. ეს ინდექსი 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს. თბილისში სამომხმარებლო ფასების საერთო დონე, წინა კვირასთან შედარებით 0,03 პროცენტით გაიზარდა. სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, სასურსათო საქონელზე ფასები 0,01 პროცენტით გაიზარდა, ხოლო არასასურსათო საქონელზე - 0,07 პროცენტით. დეპარტამენტის ინფორმაციით, გასულ კვირასთან შედარებით, ფასები გაიზარდა ხმელ ლობიოზე (12,7 პროცენტით), კვერცხზე (7,1 პროცენტით), ხახვზე (5 პროცენტით), ვაშლზე (3 პროცენტით). ამასთან, ფასები შემცირდა კარტოფილზე (10,6 პროცენტით), ფოთლოვან კომბოსტოზე (4,8 პროცენტით) და ქათმის ბარკლებზე (2,2 პროცენტით). არასასურსათო საქონლიდან, წინა კვირასთან შედარებით, ფასები გაიზარდა ნავთზე (2,6 პროცენტით) და დიზელის საწვავზე (0,8 პროცენტით).

*24 საათი*

## თურქეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმი მარტივდება

მომავალი წლიდან თურქეთისა და საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ ტრანზიტით გაიარონ, ასევე, მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე 90 დღის განმავლობაში უვიზოდ იმყოფებოდნენ. საქართველოს საგარეო უწყების განცხადებით, აღნიშნული ცვლილებები თურქეთ-საქართველოს შორის მოქმედ სავიზო შეთანხმებაში ორი მოკავშირე ქვეყნის მოქალაქეებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით შევიდა.

*ინტერპრესნიუსი*

**დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!**

შპს "საქართველოს რკინიზა"-მ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა საკონკურსო წესით შესასყიდი პროდუქციის ნუსხა. (ტურნიკეტები, სავაგონო საწორი და სხვა) შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ინფორმაცია გთხოვთ მოიძიოთ http://www.railway.ge (ტენდერები) მისამართზე.

გაზეთ "24 საათის " 2005 წლის 3 დეკემბრის ნომერში შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის " საკონკურსო კომისიის მიერ საზღვაო ბუქსირის შესყიდვაზე გამოქვეყნებული კონკურსის განცხადებაში მე-2 პუნქტი შეიცვალა შემდეგნაირად:

კონკურსში მონაწილე პრეტედენტებისათვის საქონლის დამზადების ვადა არ იზღუდება, მაგრამ ეს პირობა განიხილება ერთ-ერთ კრიტერიუმად გამარჯვებულის გამოვლენისას.

*შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის "*
*საკონკურსო კომისია*

# შალვა რამიშვილი კოლეგებს თხოვნით მიმართავს

პირველი გვერდიდან

**27 ნოემბრის შემდეგ კი არც დასაბუთებული და არც დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილება მათი პატიმრობაში ყოფნის შესახებ არ არსებობს,"** - განაცხადა სანდრო ბარამიძემ. ადვოკატი აცხადებს, რომ რამიშვილისა და კოხრეიძის შელახული უფლებების დასაცავად სტრასბურგის სასამართლოს მიმართავენ.

ტელეკომპანია "202"-ის წარმომადგენლები და დაკავებულთა ადვოკატები აცხადებენ, რომ რამიშვილის საქმეს არავითარი სასამართლო პერსპექტივა არ გააჩნია და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები სწორედ ამიტომაც აჭიანურებენ სასამართლო პროცესის დაწყებას.

პრესკონფერენციაზე კიდევ ერთი მიმართვის შესახებ გახდა ცნობილი: შალვა რამიშვილი კოლეგებს მოუწოდებს, მოითხოვონ სასამართლო პროცესის საჯაროდ ჩატარება. შალვა რამიშვილის აზრით, სისხლის სამართლის კოდექსში ახლახან შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, სასამართლო სხდომები ჟურნალისტებისთვის დაიხურება, რითაც მოსამართლეებს მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალება მიეცემათ.

*24 საათი*



ინტერპრესნიუსი

# სარკინიგზო გადაზიდვების მარშრუტი ფოთი-ალმაატა დღეს ამოქმედდება

საკონტეინერო მარშრუტი ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმაატა დღეს ამოქმედდება. ამის შესახებ გადაწყვეტილება ყაზახეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე იქნა მიღწეული. "საქართველოს რკინიგზაში" აცხადებენ, რომ 24-ვაგონიანი საკონტეინერო მატარებელი ფოთის პორტიდან პირველად დღეს გავა. პრეზენტაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ეკონომიკის მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე და რკინიგზის ხელმძღვანელი ირაკლი ეზუგბაია დაესწრება. ფოთი-ალმაატას მიმართულებით მატარებლების მიმოსვლა რეგულარულად, თვეში ორჯერ განხორციელდება.

**"ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმაატას მარშრუტის ამოქმედება TRACEKA-ს კორიდორის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და რეგულარული სარკინიგზო-საბორნე გადაზიდვების წარმოებას შეუწყობს ხელს,"** - განაცხადეს "საქართველოს რკინიგზაში". მათივე ინფორმაციით, ახალი პროექტით უკვე დაინტერესდნენ მსხვილი ექსპედიტორები, რაც სხვადასხვა სახეობის ტვირთის მოზიდვასა და პროექტის შემდგომ გაფართოებას განაპირობებს.

საქართველო-აზერბაიჯანი-ყაზახეთს შორის სარკინიგზო-საკონტეინერო მიმოსვლის დაწყების შესახებ მიმდინარე წლის 5-6 დეკემბერს თბილისში სამი ქვეყნის რკინიგზების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ ბაქოს საერთაშორისო საზღვაო-სავაჭრო პორტის, კასპიის საზღვაო სანაოსნოსა და ბულგარეთის რკინიგზის წარმომადგენლები.

ბულგარეთის მხარემ აღნიშნულ პროექტში ვარნისა და ბურგასის პორტების მომსახურების ჩართვის ინიციატივა გამოთქვა.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმაატის მარშრუტის ამოქმედების პროექტი "ტრასეკას" დერეფნის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და რეგულარული სარკინიგზო-საბორნე გადაზიდვების წარმოებას შეუწყობს ხელს.

*ინტერპრესნიუსი*

# საპატრიარქოში სახალხო დამცველის პოზიცია გაუგებრად მიაჩნიათ

საქართველოს საპატრიარქოში გაუგებრად მიაჩნიათ სახალხო დამცველის სოზარ სუბარის პოზიცია, რომელიც სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმების - კონკორდატის პარლამენტის მხრიდან გადახედვას ითვალისწინებს.

როგორც საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ზურაბ ცხოვრებაძემ განაცხადა, სხვა კონფესიების წარმომადგენელთა მიმართ არანაირი უფლებების შელახვაზე არ შეიძლება იყოს საუბარი. "საკონსტიტუციო შეთანხმებაში კონსტატაცია მოხდა იმ მოვლენის, რაც საქართველოში ყოველთვის იყო. საქართველოში მართლმადიდებლობა ყოველთვის იყო და არის გამორჩეული რელიგია. მისი აღმსარებელი არის საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. როგორც სხვა ევროპულ სახელმწიფოებში ქვეყნის ტრადიციულ რელიგიას მეტი ადგილი უკავია მოსახლეობაში, ასევეა საქართველოში," - განაცხადა ცხოვრებაძემ.

მისი თქმით, საკონსტიტუციო შეთანხმებას წინ უძღოდა ხანგრძლივი დებატები პოლიტიკოსებთან და სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლებთან და მათთან ერთად მომზადდა ერთობლივი დეკლარაცია.

"საქართველოში მცხოვრებმა კათოლიკებმა, სომეხმა მონოფიზიტებმა, მუსლიმებმა, იუდევლებმა, ბაპტისტებმა განაცხადეს, რომ ისინი წინააღმდეგი არ არიან ამ საკონსტიტუციო შეთანხმების. ამ საკითხის ისევ დაყენება ჩვენთვის გაუგებარია," - განაცხადა ცხოვრებაძემ. საკონსტიტუციო შეთანხმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს დაიდო.

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი დღეს პარლამენტში მოხსენებით წარდგა, სადაც აღნიშნული საკონსტიტუციო შეთანხმების გადახედვის საკითხი დასვა. სახალხო დამცველის სოზარ სუბარის გამოსვლის წინ, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ნოდარ გრიგალაშვილმა, რომან კუსიანმა და რომან მელიამ პარლამენტის სხდომათა დარბაზი დატოვეს.

დეპუტატები სახალხო დამცველის მოხსენებაში იმ მუხლს აპროტესტებენ, რომელიც სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმების გადახედვას ითვალისწინებს.

*ინტერპრესნიუსი*

# ანქვაბი ქართველებს საქართველოს მოქალაქეობას უკრძალავს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთში დაბრუნებული ქართველი მოქალაქეების მიერ ორმაგი - აფხაზეთისა და საქართველოს - მოქალაქეობის მიღებასა და გალის რაიონის სკოლებში საქართველოში შედგენილი სახელმძღვანელოებით სწავლებას გამორიცხავს.

ამის შესახებ განცხადება ალექსანდრე ანქვაბმა დევნილთა უფლებების საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელთან უოლტერ კაელენთან გამართულ შეხვედრაზე გააკეთა.

"გალის რაიონში დაბრუნებულ მოსახლეობას აფხაზეთის მოქალაქეობის მიღებას არავინ არ აიძულებს. ვინც თავს აფხაზეთის მოქალაქედ მიიჩნევს, ძალდაუტანებლად მიიღებს აფხაზეთის მოქალაქეობას. რაც შეეხება ამავე მოსახლეობისათვის საქართველოსთან ორმაგ მოქალაქეობას, ამას ჩვენ არ დავუშვებთ," - აღნიშნავს ანქვაბი.

მისივე თქმით, გალის რაიონის ახალგაზრდობა აფხაზურ ჯარში მსახურობს და აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, ხოლო რაც შეეხება გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლას, აფხაზური ხელისუფლება ამის წინააღმდეგი არასდროს ყოფილა. "ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ ამ სკოლებში ბავშვებმა საქართველოში შედგენილი, აფხაზეთის დამახინჯებული ისტორია ისწავლონ," - დასძენს ანქვაბი.

სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის მტკიცებით, გალის რაიონში დაბრუნებული მოსახლეობის პრობლემებთან დაკავშირებით ქართული მხარე ხელოვნურად ძაბავს ვითარებას და იქ განვითარებულ პროცესებს "ასევე ხელოვნურად აზვიადებს."

"გალის რაიონთან დაკავშირებით ქართული მხარის მიერ ორგანიზებულ აჟიოტაჟს თუ მხედველობაში არ მივიღებთ, გალის რაიონის მოსახლეობა კარგა ხანია დაბრუნებულია და მოეწყო კიდეც," - აღნიშნავს ალექსანდრე ანქვაბი.

*ინტერპრესნიუსი*

# აფრასიძეების სასამართლო გადაიდო

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ძმები აფრასიძეების სასამართლო პროცესი 26 დეკემბრისთვის გადაიდო. თუმცა, როგორც აფრასიძეების ერთ-ერთმა ადვოკატმა ნიკა გორდეზიანმა განაცხადა, შესაძლოა, მორიგი სასამართლო პროცესიც გადაიდოს. ამის მიზეზი ის არის, რომ პროცესის ერთ-ერთი მონაწილე განსასჯელი გოჩა აფრასიძე თვალის ოპერაციის გასაკეთებლად თბილისში არის გადაყვანილი და იგი სასამართლო პროცესს ვერ დაესწრება.

სწორედ ამ მიზეზით გადაიდო აფრასიძეების პროცესი 19 დეკემბრიდან 26 დეკემბრისთვის.

გოჩა აფრასიძე თბილისში საოპერაციოდ, დაახლოებით, სამი კვირის წინათ გადმოიყვანეს. თუმცა, ჯერ არ გადაწყვეტილა, რომელ კლინიკაში ჩაუტარდება მას ოპერაცია.

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ ომბუდსმენის სამსახურმა უკვე მოახდინა რეაგირება იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმარ გოჩა აფრასიძის მდგომარეობა ციხეში დამძიმდა. "თუკი მას თვალზე სასწრაფოდ არ გაუკეთდება ოპერაცია, მის მხედველობას სერიოზული საფრთხე შეექმნება", - განაცხადა სუბარმა.

სუბარი გამოთქვამს იმედს, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტის რეაგირება უყურადღებოდ არ დარჩება და აფრასიძეს ოპერაციის გაკეთების საშუალება მიეცემა.

ძმები - შმაგი და გოჩა აფრასიძეები სამართალდამცველებმა 2004 წლის 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს საკუთარ სახლთან დააკავეს. მათი მამა ევგენი აფრასიძე სპეცოპერაციის დროს დაიღუპა. ძმებს ბრალად ედებათ - სამართალდამცველთათვის წინააღმდეგობის გაწევა, მათი მკვლელობის მცდელობა და იარაღის უკანონოდ შეძენა-ტარება.

*მედიანიუსი*

## მოკლედ

### მობილური კომპანიები პარლამენტში ანგარიშს წარადგენენ

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია საქართველოში მოქმედი მობილური კომპანიების "ჯეოსელისა" და "მაგთიკომისაგან", ასევე, საქართველოში მოქმედი კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან დღეს ინფორმაციას ელოდება, თუ რა ზარალს განიცდის საქართველოს ბიუჯეტი აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული მობილური კავშირის კომპანიების - "მეგაფონის", "ბილაინის" და "MTG"-ს უკანონო საქმიანობის გამო. საკითხის შესწავლის შემდეგ კომისია, აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული კომპანიების უკანონო საქმიანობის გამო, სტრასბურგში სარჩელის შეტანას გეგმავს. ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის სხდომა 28 დეკემბერს იგეგმება. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით დასკვნას ამზადებს პარლამენტის იურიდიული კომიტეტიც. სტრასბურგში სარჩელი სახელმწიფოს ან კერძო კომპანიების სახელით შევა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "აზპეტროლმა" შესაძლოა, 300 მილიონი დოლარის ოდენობის საკუთრება დაკარგოს

კომპანია "აზპეტროლის" ჰოლანდიელი აქციონერები, რომლებიც აქციათა ას პროცენტს ფლობენ, აცხადებენ, რომ აზერბაიჯანის მთავრობა კომპანიას ებრძვის. ამის მიზეზად სასამართლოს გადაწყვეტილება მოჰყავთ, რომლის თანახმადაც, კომპანიის აქციები მესამე მხარეს გადაეცემა. თუკი საარბიტრაჟო სასამართლოს 19 დეკემბრის გადაწყვეტილება ძალაში დარჩება "აზპეტროლი" 300 მილიონი დოლარის ოდენობის საკუთრებას დაკარგავს. აზერბაიჯანის საარბიტრაჟო სასამართლომ იბრაგიმ მამედოვის სარჩელი დააკმაყოფილა იმ არგუმენტით, რომ იუსტიციის სამინისტრომ კომპანიის აქციები არასწორად გადაანაწილა. იბრაგიმ მამედოვი შპს "ნავთობკომპანია აზპეტროლის" მესაკუთრეა. "აზპეტროლი" საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. "აზპეტროლის" ხელმძღვანელი რაფიკ ალიევი თავის ძმასთან, ეკონომიკის განვითარების ყოფილ მინისტრთან ფარხად ალიევთან ერთად, ძებნაში იმყოფება. მათ ბრალად ედებათ კომპანიის მისაკუთრება და სხვისი საკუთრების დიდი ოდენობით მითვისება. **მედიანიუსი**

### საქართველოში ნავთობის მოპოვება გაიზარდა

2005 წლის 11 თვის განმავლობაში საქართველოში მოპოვებული ნავთობის რაოდენობამ 60673,95 ტონა შეადგინა. "საქნავთობის" გენერალური დირექტორის ივანე ნაკაიძის განცხადებით, 2005 წელს "საქნავთობმა" ნავთობის მოპოვება საკუთარი ძალებით გაზარდა. **"საქართველოში დღეისათვის, ძირითადად, ორი ტიპის ნედლი ნავთობი მოიპოვება. BRENT (DTD) (აღმოსავლეთ საქართველოში) და URALS (MED) დასავლეთ საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიები ნავთობმოპოვებას უფრო ეფექტურს ხდის. ამასთანავე, საჭიროა გაიბურღოს უფრო მეტი ჭაბურღილი და ჩაიდოს ინვესტიციები შელფურ (შავი ზღვის) და ასევე ხმელეთურ ტერიტორიებზე,"** - განაცხადა ნაკაიძემ. მისივე თქმით საქართველოში დღეისათვის ცნობილია 15 საბადო, საიდანაც მოპოვებულია დაახლოებით 27 მლნ. ტონა ნავთობი. 2005 წლის 11 თვეში "საქნავთობის" მიერ განხორციელებულია 1 მლნ. 708 ათასი ლარის ინვესტიცია რომლის ძირითადი ნაწილი ინფრასტრუქტურის განვითარებას სამშენებლო-აღდგენით სამუშაოებს და ჭაბურღილების კაპიტალურ რემონტს მოხმარდა. **მედიანიუსი**

### სემეკმა ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიაში ცვლილებები შეიტანა

კომპანია "თბილგაზმა" საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში (სემეკი) "გაზექსპორტთან" გაფორმებული ახალი ხელშეკრულება წარადგინა. როგორც სემეკში განაცხადეს, აღნიშნულ კონტრაქტს კომისია განიხილავს და, მის საფუძველზე, "თბილგაზს" განაწილების ახალ ტარიფს დაუწესებს. როგორც სემეკში აცხადებენ, ტარიფი არა მარტო "თბილგაზისათვის", არამედ გაზის გამანაწილებელი ყველა ლიცენზიატისათვის შეიცვლება.

პირველ იანვრამდე ყველა მათგანისათვის ახალი ტარიფები დამტკიცდება.

სემეკმა ცვლილებები შეიტანა ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიაში, რომელშიც იმპორტის კომპონენტი ცალკეა ჩადებული. აქედან გამომდინარე, იმპორტის ფასის შეცვლისთანავე ტარიფიც შესაბამისად შეიცვლება.

შეგახსენებთ, რომ ახალი ხელშეკრულების თანახმად, რუსეთიდან იმპორტირებულ 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირში "თბილგაზი" კომპანია "გაზექსპორტს", 65 დოლარის ნაცვლად, 110 დოლარს გადაუხდის. "თბილგაზის" ხელმძღვანელის გიორგი გვიჩიანის განცხადებით, ტარიფი მოსახლეობისათვის 33-34 თეთრამდე გაიზრდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# არასამთავრობოები პრეზიდენტისგან კანონზე ვეტოს დადებას ითხოვენ

პირველი გვერდიდან

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარის თენგიზ შერგელაშვილის თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლებს მხოლოდ ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები შეადგენს. ზიარ გადასახადებში ადგილობრივი თვითმმართველობების წილზე საუბარი არსად არის.

**"თუ გავითვალისწინებთ, რომ დედაქალაქის გარდა, დანარჩენ საქართველოში, ბიუჯეტის გახუთმაგების პირობებშიც კი, ადგილობრივი შემოსავლები არ გაზრდილა, რაიონის დონეზე შექმნილი თვითმმართველობები იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან, როგორსაც ქალაქები და თემები აწყდებიან,"** - აღნიშნა შერგელაშვილმა. მისივე თქმით, აღნიშნული გარემოება თავის მხრივ გამოიწვევს პერმანენტულ ფინანსურ შიმშილს და ის მწირი თანხები, რაც თვითმმართველობას უნდა მოხმარდეს, ძირითადად, ადგილობრივი ადმინისტრაციის შენახვას მოხმარდება და არა მუნიციპალური პროგრამების განხორციელებას. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონთან ერთად არ არის წარმოდგენილი ფინანსური გაანგარიშება, თუ რა რეალურ ფინანსურ რესურსებს მიიღებს თვითმმართველობა და რამდენად იქნება დაკმაყოფილებული მისი სასიცოცხლო მოთხოვნილება. თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მეცხრე მუხლის თანახმად, თვითმმართველობის ორგანოთა ფინანსური წყაროები კანონით დადგენილ მათ უფლებამოსილებებთან თანაზომიერნი უნდა იყვნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოქმედი და ახალი კანონმდებლობა შეადარეს. ახალ კანონმდებლობაში საგრძნობლად შემცირებულია თვითმმართველობის უფლებამოსილებები. მთლიანად ამოღებულია უმწეოთა დახმარება, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების, მოხუცებულთა და ბავშვთა სახლების მოვლა-პატრონობა. თვითმმართველობის დონეზე აღარ მოხდება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, კატასტროფის, სტიქიური უბედურებებისა და ეპიდემიების შედეგების ლიკვიდაცია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი არასამთავრობოების აზრს არ გაითვალისწინებს, მაშინ ისინი შეეცდებიან, ამ საკითხის ინტერნაციონალიზაცია მოახდინონ. არასამთავრობოები დახმარებისთვის იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავენ, რომელთაც საქართველოში დემოკრატიის პრინციპების დასანერგად დიდი თანხა და ენერგია დახარჯეს.

გთავაზობთ საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვის ტექსტს, რომელიც გუშინდელ შეხვედრაზე შეიმუშავეს:

### საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს

**ბატონო პრეზიდენტო,**

*ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, გამოვხატავთ შეშფოთებას საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.*

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ". პირველ რიგში, ხაზი გვინდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ აღნიშნული კანონით, საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული ადმინისტრაციული ერთეული - რაიონი - განიხილება თვითმმართველობის საფუძვლად. ხუთი ქალაქის გარდა, საქართველოს ყველა ქალაქში, ასევე, სოფლებსა და თემებში უქმდება თვითმმართველობა, რამაც შესაძლოა, მრავალი პრობლემა შექმნას. კერძოდ, ამ კანონის ამოქმედებამ შეიძლება:

- მნიშვნელოვნად შეასუსტოს მონაწილეობითი დემოკრატიის ხარისხი;
- სერიოზულად შეაფერხოს ქვეყნის ურბანული განვითარება;
- გაზარდოს მოსახლეობის მიგრაცია თვითმმართველობის ცენტრებიდან დაშორებული სოფლებიდან, რითაც სახელმწიფოს დამატებითი სოციალური პრობლემები შეექმნება;
- მნიშვნელოვნად შეამციროს რაიონის შიგნით საბიუჯეტო სახსრების განაწილების ადეკვატურობისა და გამჭვირვალობის ხარისხი, რაც, თავისთავად, ზრდის კორუფციის საფრთხეს.

სერიოზულ განსჯას საჭიროებს სხვა მრავალი საკითხიც: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირება და მათი ფუნქციონირების წესი, თვითმმართველობის უფლებამოსილებები, მათი საქმიანობის ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიები, თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობა და სხვა. ამ საკითხების გადაუჭრელობა ადგილობრივ თვითმმართველობას, ფაქტობრივად, გამოაცლის მოსახლეობის მომსახურების უმთავრეს ფუნქციას და უფრო მეტად პოლიტიზირებულს გახდის მას.

ჩვენი აზრით, კანონი არ წარმოადგენს თვითმმართველობის სფეროში არსებული მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზის შედეგს და არ ითვალისწინებს თვითმმართველობის უმთავრეს პრინციპებს, ამიტომ მიუღებლად მიგვაჩნია თვითმმართველობის კანონის ამ სახით ამოქმედება.

ბატონო პრეზიდენტო, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და ვეტო დაადოთ საქართველოს ორგანულ კანონს "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ". ამასთან, თქვენთან შეხვედრის შემთხვევაში, მზად ვართ, წარმოვადგინოთ ჩვენი წინადადებები აღნიშნული რეფორმის ნორმალურად წარმართვის თაობაზე.

*საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია* - **თენგიზ შერგელაშვილი;**
*საქართველოს ქალაქების თვითმმართველობათა კავშირი* - **პაატა მირზიაშვილი;**
*სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი* - **კონსტანტინე კანდელაკი;**
*საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია* - **გიორგი ზედელაშვილი;**
*მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი* - **დავით ლოსაბერიძე;**
*საერთაშორისო ასოციაცია "კივიტას გეორგიკა"* - **გიორგი მესხიძე;**
*კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი* - **დავით ყიფიანი;**
*საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო* - **თამარ ქაროსანიძე;**
*საქართველოს მედიაკლუბი* - **მაგდა პოპიაშვილი;**
*სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება* - **თამარ ჟვანია;**
*კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი* - **მარინა ლებანიძე;**
*საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტი* - **დავით ნარმანია;**
*სამოქალაქო განვითარების ცენტრი - "ალტერნატივა"* - **ირენე ცინცაძე;**
*სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი* - **ლევან მოსახლიშვილი,**
*კავკასიის ქალთა ქსელი* - **ნინო ციხისთავი;**
*თვითმმართველობის საკითხთა ლობისტი* - **ირაკლი მელაშვილი;**
*დამოუკიდებელი ექსპერტი* - **ნიკოლოზ ორველაშვილი;**
*გაზეთი "რეზონანსი"* - **ლაშა ტუღუში.**

23. 12. 2005 წელი

# ომბუდსმენმა წლიური ანგარიში ცარიელ დარბაზს ჩააბარა

პირველი გვერდიდან

**"ხელისუფლებამ უნდა გადახედოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის მიღწეულ საკონსტიტუციო შეთანხმებას. ყველა ადამიანი თანასწორია კონსტიტუციის წინაშე. ეს საკონსტიტუციო შეთანხმება კი უპირატესობას მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის მიმდევრებს ანიჭებს. კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის სხვა რელიგიურ კონფესიებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს. მართლმადიდებელი ეკლესია მიზანშეუწონელი შეღავათებით სარგებლობს,"** - ომბუდსმენის ეს რეკომენდაცია გახდა ხმაურისა და პარლამენტის სხდომათა დარბაზის დაცარიელების მიზეზი.

პარლამენტის სხდომათა დარბაზი, პროტესტის ნიშნად, თავდაპირველად საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ნოდარ გრიგალაშვილმა დატოვა. მას მიჰყვნენ რომან კუსიანი და რომან მელია.

**"საკითხის ასე დაყენებით სუბარმა ყველა მართლმადიდებელს შეურაცხყოფა მიაყენა. ასეთი სისაძაგლის განხილვაც კი არ შეიძლება,"** - პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა მკვეთრად გამოხატა პოზიცია, რომელიც უმრავლესობის უმეტესმა ნაწილმაც გაიზიარა და ოპოზიციონერებმაც.

საქმე ისაა, რომ დეპუტატებს სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის ტექსტი წინასწარ დაურიგდათ და, შესაბამისად, სოზარ სუბარის სიტყვით გამოსვლამდე მისი შინაარსი უკვე იცოდნენ.

სოზარ სუბარის აზრით, იმისათვის, რომ სხვა რელიგიურ მიმართულებებს და რელიგიურ ჯგუფებსაც შეეძლოთ გარკვეული ხელშეკრულებების დადება სახელმწიფოსთან, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების სტატუსი უნდა შეიცვალოს.

დეპუტატებისთვის გაუგებარი აღმოჩნდა, რატომ უთმობს სახალხო დამცველი მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას და მისი ანგარიშის ტექსტში რატომ დევს კონსტიტუციურ შეთანხმებასთან დაკავშირებით რამდენიმე წერილის ასლი, მაშინ, როცა სხვა საკითხებთან დაკავშირებით, თუნდაც იგივე სასამართლო რეფორმის მიმართულებით, ანგარიშში არანაირი წერილის ასლები არ არის. **"საინტერესოა, რატომ გამოიწვია თქვენი განსაკუთრებული ყურადღება ამ კონსტიტუციური შეთანხმების საკითხმა და რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობს? ეს საზიზღრობაა, საძაგლობაა,"** - ასეთი შინაარსის შეფასებები ისმოდა პარლამენტში სოზარ სუბარის რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის მოხსენებისას, აღნიშნული მუხლის გამო, პოზიცია პარლამენტის თავმჯდომარემაც გამოხატა. **"თუ სახალხო დამცველმა თავს უფლება მისცა, რომ საკონსტიტუციო შეთანხმების გაუქმებასთან დაკავშირებით რეკომენდაცია მოეცა საკანონმდებლო ორგანოსთვის, ეს მისი საქმეა, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ, საკონსტიტუციო შეთანხმებას გადავხედოთ,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

დეპუტატების მხრიდან პროტესტის გამოხატვამ და დარბაზის დატოვებამ სახალხო დამცველი დააბნია და საკუთარ მოხსენებაში პარლამენტისათვის მიცემული რეკომენდაციის შერბილება სცადა. თუმცა, ამ დროისთვის მას მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი უსმენდა - ძირითადად ისინი, ვინც უმარვლესობის წევრების მხრიდან გამოხატული პროტესტი არ მოიწონა. დარბაზში დარჩენილებმა საპარლამენტო უმრავლესობას ემოციების მოთოკვა ურჩიეს და განმარტეს, რომ **"სახალხო დამცველი აბსოლუტური ხელისუფლება არ არის და მისი ჩანაწერი და პოზიცია არაფერს ცვლის".**

*24 საათი*

# გორში ოფიციალური დოკუმენტი მიიღეს

პირველი გვერდიდან

სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე ექიმმა რევაზ ტეტუნაშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებლად მოითხოვენ მთელი მედპერსონალის დასაქმებას: **"მე პირადად შემხვდა ირაკლი ოქრუაშვილი და პერსონალის დასაქმებას დამპირდა; დადგენილებაში კი წერია, რომ ჰოსპიტალი აქ მთელი პირადი შემადგენლობით გადმოდის."**

**"ირაკლი ოქრუაშვილმა გვითხრა, რომ გორის რაიონულ საავადმყოფოში სამხედრო ჰოსპიტლის გადმოტანას აპირებს, თუმცა ის დაგვპირდა, რომ ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ კადრებს დაასაქმებს. ოქრუაშვილმა ეს ყველაფერი სიტყვიერად მოგვახსენა, რაიმე დოკუმენტი ან ბრძანება ჩვენ დღემდე არ მიგვიღია. ჩვენ რომც არ გვინდოდეს, საავადმყოფოს ადგილზე სამხედრო ჰოსპიტლის გადმოტანას, თუკი ეს სახელმწიფოს ინტერესებში შედის, წინ ვერ აღვუდგებით,"** - ამბობს რაიონის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი თემურ მძინარიშვილი.

მედპერსონალს საავადმყოფოს შესანარჩუნებლად ბრძოლა რამდენიმე წლის წინაც მოუხდა. მაშინ შედეგს მიაღწიეს.

გორის რაიონული საავადმყოფო ქალაქის ცენტრშია განთავსებული. გორში კიდევ ორი საავადმყოფოს შენობა არსებობს - წმინდაწყლის დასახლებაში მდებარე ქალაქის საავადმყოფო, რომელიც ცხინვალიდან ქალაქში შემომავალ გზასთან ახლოსაა, და კომბინატის დასახლებაში, ნარკოლოგიური დისპანსერის შენობა, რომელსაც ასევე დიდი ფართი უკავია.

**"გაურკვეველია, მთავრობამ და თავდაცვის სამინისტრომ ჰოსპიტლის გახსნა ქალაქის ცენტრში რატომ გადაწყვიტეს, მაშინ, როდესაც ქალაქის პერიფერიულ ზონებში რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაა, რომლებიც ნაკლებად არის დატვირთული და ამ მიზნით მათი გამოყენება უფრო მართებული იქნებოდა. დადგენილებაში ასევე მინიშნებულია, რომ ამ ტერიტორიაზე გადმოდის ჰოსპიტლის მთელი პირადი შემადგენლობა, შესაბამისად, გაურკვეველია ამჟამად დასაქმებულ პირთა შრომითი ურთიერთობების საკითხი. დოკუმენტში არ არის გარკვეული, დარჩება თუ არა რომელიმე დაწესებულება ამ შენობაში. წერილობით პასუხს ამ საკითხზე არც ერთი სამინისტრო არ იძლევა,"** - აცხადებს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" გორის ოფისის ხელმძღვანელი ქეთევან ბებიაშვილი.

# ხელისუფლებას სასამართლოზე პოლიტიკურ ზეწოლაში ადანაშაულებენ

არასამთავრობო ორგანიზაცია "კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი" საქართველოს ხელისუფლებას სასამართლოზე პოლიტიკურ ზეწოლაში ადანაშაულებს და სამოქალაქო საზოგადოებას მართლმსაჯულების ობიექტურობის დასაცავად გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია "კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის" ხელმძღვანელის გიორგი ხუციშვილის თქმით, მოსამართლეთა დევნით ქვეყანაში სასამართლო სისტემის რეფორმა ვერ განხორციელდება.

ღონისძიებას, რომელიც ორგანიზაციამ მოსამართლეთა მხარდასაჭერად მოაწყო, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები - მერაბ ტურავა, დავით სულაქველიძე, თამაზ ილიაშვილი, მათი ადვოკატები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მერაბ ტურავას განცხადებით, ამჟამად, ე.წ. მეამბოხე მოსამართლეებს ორ ფრონტზე უწევთ ბრძოლა - დღის განმავლობაში ისინი ადამიანთა ბედს წყვეტენ, საღამოს კი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე თავს იცავენ.

**"წარმოუდგენელია, მოსამართლე ამა თუ იმ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციისთვის იდევნებოდეს, როგორც ეს ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ხდება. აბსოლუტურად იდენტურია სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია ჩვენი და სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიის მიერ. როგორც ჩანს, საქართველოს იუსტიციის საბჭოში სამართლებრივი დონე სავალალოა",** - განაცხადა ტურავამ.

**მისივე თქმით, დღეს სამიოთხი პოლიტიკოსი წყვეტს, ვინ დარჩება სასამართლო სისტემაში და ვინ დატოვებს თანამდებობას. "ამის გამო, მართლმსაჯულების სისტემიდან თავისუფლდებიან არა მარტო კორუმპირებული მოსამართლეები, არამედ ის პრინციპული მოსამართლეებიც, რომლებმაც პროკურატურის მითითებები არ შეასრულეს",** - აღნიშნა მერაბ ტურავამ.

პრესკონფერენციას უცხოელი ადვოკატი საქს ფონ ალტენბურგიც ესწრებოდა. მისი თქმით, მხოლოდ გუშინწინ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან 67 შეტყობინება მიიღო. მათი ავტორები მხარს უჭერენ ქართველ მოსამართლეებს. ალტენბურგი არასამთავრობო ორგანიზაციებს, მოსამართლეებს და მათ ადვოკატებს ბრძოლისკენ მოუწოდებს.

*ინტერპრესნიუსი*

უცხოეთი

# იტალია ამერიკელ აგენტთა წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

იტალიის კანონმდებლობით, გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში ამერიკელ აგენტებს ათ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

ანტიამირეკული განწყობა იტალიაში ერაყის ომის დაწყების შემდეგ წარმოიშვა. იგი განსაკუთრებით გაძლიერდა მიმდინარე წლის მარტში ერაყში ამერიკელი ჯარისკაცების მიერ იტალიელი სპეცაგენტის ნიკოლო კალიპარის შემთხვევით მოკვლის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ მილანის პროკურორმა არმანდო სპატარომ ჯერ კიდევ ზაფხულში გასცა ეჭვმიტანილი ამერიკელების დაპატიმრების ბრძანება. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ცენტრალურ ხელისუფლებას მაშინ არ ეყო პოლიტიკური ნება. სილვიო ბერლუსკონიმ იტალიურ საზოგადოებაში გაბატონებული ანტიამერიკული განწყობის მიუხედავად, მოკავშირეს ვერ "უღალატა".

სავარაუდოდ, ამჯერადაც იგივე განმეორდება. მართალია, სილვიო ბერლუსკონი ამბობს, რომ იტალიის ხელისუფლებას არანაირი კავშირი არ ჰქონია ეგვიპტელი იმამის გატაცებასთან, უფრო მეტიც, ოფიციალური რომი საქმის კურსშიც არ ჩაუყენებიათ, მაგრამ, ამავდროულად, თავს იკავებს, ვაშინგტონს ეჭვმიტანილი აგენტების ექსტრადიცია მოსთხოვოს.

აშკარაა, აღნიშნული საქმე კიდევ ერთხელ მიაყენებს დარტყმას როგორც თავად პრეზიდენტ ბუშის, ასევე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ისედაც შელახულ რეპუტაციას, მით უმეტეს, რომ ევროკავშირში უკვე მიმდინარეობს გამოძიება ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საიდუმლო ციხეების არსებობის ფაქტზე ევროპაში.

# აშშ და ინდოეთი - შესაძლო ბირთვული პარტნიორები

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შიამ სარანი გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს შეხვდა. მხარეთა საუბრის მთავარი თემა ინდოეთსა და აშშ-ს შორის ბირთვული ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა იყო. შიამ სარანის თქმით, იგი შეხვედრით კმაყოფილია და ამერიკის ბირთვულ ტექნოლოგიებზე ინდოეთის შესაძლო ხელმისაწვდომობას დადებითად აფასებს.

თუმცა, აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები კიდევ გრძელდება. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ინდოეთს ყველა თავის ბირთვულ ობიქტზე საერთაშორისო ინსპექციების წარმომადგენელთა დაშვება მოუწევს. შეთანხმების სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, სარანის თქმით, მოლაპარაკებების მეორე ტური ინდოეთში, შესაძლოა, 2006 წლის დასაწყისში, ქვეყანაში აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის შემდეგ, გაიმართოს. **"ჩვენ გავაცნობიერეთ, რომ ბირთვული ენერგეტიკის სფეროში გარკვეული წინსვლა ინდოეთში ჯორჯ ბუშის ვიზიტამდე უნდა მოხდეს,"** - აღნიშნა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიამ სარანმა.

უნდა ითქვას, რომ ინდოეთსა და აშშ-ს შორის ბირთვული ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე მოლაპარაკებებს მოწინააღმდეგენიც ჰყავს. მათ მიაჩნიათ, რომ მსგავსი ქმედებებით ბირთვული იარაღის საერთაშორისო გავრცელების წინააღმდეგ მიმართული დანარჩენი მსოფლიოს ძალისხმევა, გარკვეულწილად, აზრს კარგავს.

შეგახსენებთ, რომ ინდოეთსა და აშშ-ს შორის ბირთვული ენერგეტიკის სფეროში პარტნიორობის თაობაზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 2006 წლის ივლისში, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის აშშ-ში ვიზიტის დროს დაიწყო. აღნიშნულ საკითხში ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მანამდეც არსებობდა, თუმცა, ინდოეთის მიერ ბირთვული ცდების ჩატარების შემდეგ, 1998 წელს აშშ-მ ბირთვული ენერგეტიკის სფეროში ინდოეთთან პარტნიორობაზე უარი განაცხადა.

საგულისხმოა, რომ აშშ-ს კონგრესის წევრთა ნაწილს ინდოეთის მიმართ დადებითი დამოკიდებულება დღესაც არ აქვს. ეს ნაწილობრივ იმითაა განპირობებული, რომ რამდენიმე წლის წინ, აღნიშნულმა ქვეყანამ ბირთვული იარაღით ვაჭრობის წინააღმდეგ შექმნილ დოკუმენტზე ხელი არ მოაწერა.

*ბი ბი სი*

■ ■ ■

**ჩეჩნეთი.** დაღესტნის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტთა მტკიცებით, ჩეჩნეთის მცხოვრებთა მასობრივი მოწამვლა ეთილენგლიკოლის ორთქლითაა გამოწვეული. ეს დასკვნა მათ მოწამვლის ნიშნებით საავადმყოფოში მოთავსებული ხუთი ჩეჩენი გოგონას სისხლის ანალიზის საფუძველზე გააკეთეს. **"თუმცა, ეს ჯერ საბოლოო დასკვნა არ არის. ჩვენ ჯერ კიდევ განვაგრძობთ კვლევას. ჩვენთვის უცნობია, რა გზით მოხვდა ეს ნივთიერება პაციენტების სისხლში,"** - აცხადებს ქიმიური ლაბორატორიის ბიუროს ხელმძღვანელი, მუმინატ ხაჯაევი. რუსეთის საგანგებო მდგომარეობათა სამინისტროს ჩეჩნური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე, აჰმედ ჯეირხანოვი კი მახაჩყალაში გაკეთებული ანალიზის შედეგებს მცდარს უწოდებს. ჯეირხანოვის თქმით, გროზნოში მოწვეული კონსილიუმის დასკვნა განსხვავებულია მახაჩყალის ექსპერტთა ვარაუდისაგან. ეთილენგლიკოლი ფარმაკოლოგიაშიც გამოიყენება, მაგრამ ამ ნივთიერებას ძირითადად მაინც მრეწველობაში ანტიფრიზის დასამზადებლად იყენებენ, კერძოდ, მანქანის სისტემის გასაციებლად და სამუხრუჭე სითხედ. ჯეირხანოვს საკუთარი შეფასებისა და გროზნოს კონსილიუმის დასკვნის არგუმენტად, სწორედ, ამ ნივთიერების ფარმაკოლოგიაში გამოყენების პრეცედენტი მოყავს.

**"არ შეიძლება, მახაჩყალის ექსპერტთა დასკვნას ბრმად ვენდოთ. მით უფრო, რომ ეთილენგლიკოლი დასავლურ ფარმაკოლოგიაში ფართოდ გამოიყენება. არ არის გამოირცხული, ასეთი სურათი ამგვარი პრეპარატებით მკურნალობას მოეცა,"** - აღნიშნავს ჯეირხანოვი.

დეკემბრის შუა რიცხვებიდან ჩეჩნეთის შელკოვსკის რაიონში უცნობი ნივთიერებით მოწამვლის სიმპტომები 100-მდე ადამიანს გამოუვლინდა. დაავადებულთა უმრავლესობა გოგონები არიან.

ამჟამად, ჩეჩნეთში მყოფი სრულიად რუსეთის კატასტროფების მედიცინის ცენტრის სპეციალისტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ დაავადების მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. გამოუცნობი დაავადების დიაგნოზის დასმის გამბედაობა კი ჩეჩნეთის მთავარმა ნარკოლოგმა, მუსა დალსაევმა გამოიჩინა. მისი შეფასებით, დაავადება "ფსიქოგენური ბუნების ფსევდოასთმური სინდრომია". **24 საათი**

■ ■ ■

**დსთ.** უკრაინამ და თურქმენეთმა მიაღწიეს შეთანხმებას უკრაინისათვის გაზის მიწოდებისა და მისი ფასის შესახებ. ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ტარასიუკმა ტელეარხ "1+1"-ის პირდაპირ ეთერში განაცხადა. მისი თქმით, გაზის საფასურის შესახებ ოფიციალურ განცხადებას კიევი მოგვიანებით გააკეთებს. ორი დღის წინ, უკრაინის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრი ივან პლაჩკოვი აშხაბადში თურქმენეთის პრეზიდენტს საფარმურად ნიაზოვს შეხვდა. პლაჩკოვმა მაღალი შეფასება მისცა ნიაზოვის პოზიციას და ჟურნალისტებს აცნობა, რომ თურქმენული გაზის საფასურის საკითხი პრინციპში გადაწყვეტილია. მისი თქმით, შესაბამის შეთანხმებას ახალ წლამდე მოეწერება ხელი. 2004 წელს უკრაინა 1000 კუბურ მეტრ თურქმენულ გაზს 44 დოლარად ყიდულობდა. 2005 წლის 18 ნოემბერს პრეზიდნეტმა ნიაზოვმა განაცხადა, რომ 2006 წლის პირველი იანვრიდან თურქმენული ბუნებრივია აირის ყველა მყიდველისთვის ერთიანი ფასი - 60 დოლარი დაწესდა. თავდაპირველად უკრაინამ ფასის გაზრდა მიუღებლად მიიჩნია, თუმცა დეკემბერში ამ საკითხის განხილვას დათანხმდა. **ინტერპრესნიუსი**



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

## გულახდილად

# ამ კვირის სასიამოვნო ემოციები

ჩემი რუბრიკით "გულახდილად" მინდა ვისარგებლო და ამ კვირის ყველაზე სასიხარულო მოვლენა, წმინდა ნიკოლოზის დღეს ნიკოლოზ სააკაშვილის გაჩენა მის მშობლებს - საქართველოს პრეზიდენტს, პირველ ლედის და მათ ოჯახს მთელი გულით მივულოცო. პატარა ნიკოლოზს კი, როგორც საკუთარ შვილებს, ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო.

## საფუძვლიანი ოპტიმიზმი







კარგად გაიხსენეთ, მუზეუმში ბოლოს როდის იყავით? როდის წაიყვანეთ თქვენი შვილი ან შვილიშვილი, ჩამოსული სტუმარი? მოდით, გულახდილად, ერთად ვაღიაროთ, რომ თბილისის მრავალრიცხოვან, მრავალფეროვან და საკმაოდ მდიდარ მუზეუმებში სიარულის სიხშირით ვერც ერთი ვერ დავიკვეხნით. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სამხატვრო გალერეაში, უმეტესად გამოფენის გახსნაზე, სიარული მართლაც რომ ხშირად მიწევს, მუზეუმში რიგითი დამთვალიერებლის სტატუსით, ფაქტობრივად, სტუდენტობის მერე არ ვყოფილვარ. არც ვიცი, ჩემი შვილები როდის, რომელ მუზეუმში არიან ნამყოფი. თუმცა, ეს არა მხოლოდ ჩემი და ჩემი ოჯახის, ან თუ გნებავთ, მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს უდიდესი ცნობილი მუზეუმების პრობლემადაც იქცა. მუზეუმები დამთვალიერებლებს სულ უფრო და უფრო კარგავენ, მსოფლიო ხელოვნების შედევრებით შეიძლება გადაჭედილ, მაგრამ უსიცოცხლო სივრცეებად იქცევიან. ამ უსიამოვნო პროცესის შესაჩერებლად, მუზეუმებისთვის სიცოცხლის დასაბრუნებლად მათი ადმინისტრაციები ათასგვარ ხერხს, მეთოდებს მიმართავენ. სულ უფრო პოპულარული ხდება მცირე ზომის, ერთი შემოქმედის ან კონკრეტული ეპოქის მუზეუმები, რომლებიც საკუთარი ექსპოზიციის, ინფორმაციის ზომიერი, ლაკონური მასშტაბით არ გღლის, არ გთრგუნავს, არ გაბნევს და რომლებშიც, როგორც წესი, ვიზუალურის პარალელურად ინფორმატიულ-კომერციული მხარეებიც ძალიან მაღალ დონეზე არის აწყობილი.

თბილისის მუზეუმებში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის, სიდუხჭირისა და აქედან გამომდინარე, მოუვლელობის შესახებ წლების განმავლობაში არაერთხელ თქმულა, დაწერილა, განგაში ატეხილა. ყოველგვარი შესაბამისი პირობების გარეშე, დაუცველი შედევრები, ნესტიანი, გაუმთბარი, გადავსებული საცავები, ამ წლების განმავლობაში არაერთი დაზიანებული თუ არა, სულ განადგურებული ექსპონატები და სულ უფრო და უფრო მცირერიცხოვანი დამთვალიერებელი - ასეთი და შეიძლება კიდევ უფრო უარესიც იყო საქართველოს მუზეუმების უმეტესობაში წლების განმავლობაში არსებული მდგომარეობა. სწორედ ამ განუკითხაობისა და უპასუხისმგებლობის პერიოდში, 1994 წელს შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის შედეგად ექსპოზიციიდან 3 ტილო გაიტაცეს: ლუკას კრანახი უფროსის "მაჭანკალი", იაკობ ვან რეისდალის "პეიზაჟი ჩანჩქერით" და შარდენის "ნატურმორტი". 2004 წელს შსს სამინისტროს ძალისხმევისა და მუშაობის შედეგად კრანახისა და რეისდალის ტილოები, მართალია ძალიან დაზიანებულ მდგომარეობაში, მაგრამ ნაპოვნი და დაბრუნებული იქნა. მესამე დაკარგული ტილოს ბედი, სამწუხაროდ, დღემდე უცნობია. 2005 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროსა და გერმანიაში საქართველოს ელჩის მაია ფანჯიკიძის ინიციატივით კრანახის "მაჭანკალი" და რეისდალის "პეიზაჟი ჩანჩქერით" ქ. ჰამბურგში სარესტავრაციოდ გაიგზავნა.

არ ვიცი, შეიძლება ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, მაგრამ ამ ნამუშევრების ჯერ პოვნა, დაბრუნება (ადრე შსს შეიძლება რამეს პოულობდა, მაგრამ უმეტესად მაღალჩინოსნები თავისთვის იტოვებდნენ) და მერე რესტავრაცია ნიშანდობლივ სიმბოლოდ აღვიქვი. სიმბოლოდ იმისა, რომ საქართველოს მუზეუმები გადარჩენის, განახლების, გაცოცხლების გზას დაადგნენ და სწორი წარმართვისა და ნების შემთხვევაში ამ პროცესს არაფერი შეაჩერებს. მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულ მუზეუმს (სამუზეუმო გაერთიანებას) სათავეში ახალგაზრდა, თანამედროვე ხედვის, აზროვნების, ენთუზიასტი და საქმის კარგი მცოდნე მეცნიერი დავით ლორთქიფანიძე ჩაუდგა, მგონია, რომ მუზეუმების ნაბიჯ-ნაბიჯ გაცოცხლების, რეფორმირების, საზოგადოებასთან შერწყმის პროცესი ყველასათვის აშკარა გახდა. იმედია დამეთანხმებით, რომ საქართველოს მუზეუმში თვეების განმავლობაში მიმდინარე მასშტაბური გამოფენის "ოქრომრავალი კოლხეთის" მსგავსი ექსპოზიციებით დიდად განებივრებულნი ნამდვილად არ ვიყავით. სწორად გაკეთებულმა, ფართო, საინტერესო, დროის შესაბამისი კონცეფციის მქონე გამოფენამ შედეგიც გამოიღო და ათასობით მნახველი მუზეუმს დაუბრუნა. ალბათ იმაშიც დამეთანხმებით, რომ არც მოპარულ-დაბრუნებული, რესტავრირებულ-გადარჩენილი შედევრებია ჩვენთვის ჩვეული. უმაღლესი ხარისხითა და პროფესიონალიზმით აღდგენილი ამ ორი ნამუშევრის წარდგენა-პრეზენტაცია ამ კვირაში, სხვათა შორის, ასევე განახლებული, თანამედროვე და საინტერესო, შინაარსიანი ფორმით, შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მოეწყო. საქართველოს უახლესი წარსულის რეალობიდან გამომდინარე, ჩემთვის პირადად, ამ ექსპოზიციაშიც ბევრი რამ უჩვეულო იყო. დიდ საგამოფენო დარბაზში, ურთიერთსაპირისპირო კედლებზე, მუქ ფონზე ორი შედევრის წარდგენის ახლებური კონცეფცია; ჩვენთვის ასეთი უჩვეულო და ნებისმიერი ექსპოზიციის აუცილებელი მაღალპროფესიული განათება; გემოვნებითა და ცოდნით შესრულებული ინფორმაციული კუთხის სტენდები; დიდი ხანია ნანატრი და მსოფლიოს ნებისმიერი კარგი, დიდი თუ პატარა მუზეუმისთვის ასეთი დამახასიათებელი, აუცილებელი სენსორული მონიტორები (ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გრანტის საფუძველზე შეძენილი), რომელთა ეკრანზე წარმოდგენილი ნამუშევრის, მისი ავტორის, შემოქმედებითი პერიოდის, ისტორიული ეპოქის, ინფორმაციაში გამოყენებული საკუთარი სახელების, სახელწოდებების, უცხო ტერმინოლოგიის შესახებ სრულ, ამომწურავ და ძალიან საინტერესო ინფორმაციას ღებულობ. დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში იმის საშუალება გაჩნდა, რომ მნახველი არა მარტო შედევრთან პირისპირ ყოფნით, მისი მზერით დაკმაყოფილდეს, არამედ მაქსიმალურად ინფორმირებული, გამდიდრებული, გათვითცნობიერებული დარჩეს. მგონია, რომ სტუდენტებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვის სპეციალური საათებიც უნდა გამოიყოს, რომლებშიც მათი მუზეუმში ვიზიტი, ამითი კი ინტელექტის, ხედვის, ცნობისმოყვარეობის, ფანტაზიის განვითარების ეფექტური საშუალება იქნება ნაგულისხმევი.

საქართველოში მუზეუმები ცოცხლდება, მნახველს იბრუნებს და ამის აშკარა დასტური ხელოვნების მუზეუმში მოწყობილი პრეზენტაცია იყო, რომლის სასიამოვნო უჩვეულობა არა მხოლოდ ექსპონირების ახლებურობით შემოიფარგლებოდა, არამედ შედევრების სანახავად შეკრებილი ხალხის რაოდენობითაც, მრავალფეროვნებითაც იგრძნობოდა. 16-17 წლის თინეიჯერებიდან დაწყებული, რომლებიც სენსორულ მონიტორებს ვერ შორდებოდნენ, სხვადასხვა მუზეუმის ხანშიშესული პატრიოტი თანამშრომლებით დამთავრებული საზოგადოების სხვადასხვა ფენა იყო წარმოდგენილი და მე მგონი, არ შემეშლება თუ ვიტყვი, რომ თითოეულ მათგანს, ჩემს მსგავსად, მუზეუმების გადარჩენის, გაცოცხლების ოპტიმისტური იმედი გაუჩნდა, რომელიც, პრეზენტაციაზე მყოფნი ალბათ დამეთანხმებიან, არცთუ უსაფუძვლო იყო.

## კარგი იქნება, რომ ყველამ ნახოს















ქართველები რომ შემოქმედი, ნიჭიერი, გემოვნებიანი ერი ვართ, ჩვენი ეროვნული კულტურაც მეტყველებს. ეს ჩემს გარეშეც დიდი ხანია, ცნობილი, არაერთხელ დადასტურებულია. მაგრამ, ამის მიუხედავად, ქართული ტალანტის მოულოდნელი მრავალფეროვნება, სიღრმე ხშირად სასიამოვნოდ მაოცებს. სწორედ ამგვარი გაოცება, აღფრთოვანება, მოწიწება და ღრმა პატივისცემა გამოიწვია ჩემში ამ კვირაში გალერეა TMS-ში გახსნილმა თამარ კვესიტაძის უნიკალურმა გამოფენამ.

თამრიკო კვესიტაძის თვითმყოფადი შემოქმედების, მისი ნამუშევრების შესახებ არაერთხელ მსმენია, მაგრამ, ჩემდა სამარცხვინოდ, არასდროს მენახა. ჩვენს საერთო მეგობრებს, ნაცნობებს ხშირად უთქვამთ - "გაგიჟდები", და ამგვარი წინასწარი შემზადების მიუხედავად, ნანახისაგან მიღებული, შეიძლება ითქვას, შოკი, მართლაც რომ მოულოდნელი იყო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მართლაც გავგიჟდი - ამის მსგავსი არასდროს არაფერი მინახავს. თამრიკო კვესიტაძის უაღრესად დახვეწილი, გემოვნებიანი, მექანიზებული საოცრებები არაფერს და არავის ჰგავს. ძალიან სასიამოვნო წარმოსადგენია, რომ ახალგაზრდა, მომხიბვლელი, ელეგანტური, მოღიმარი ქალი ასეთი დიდი ნიჭის, ფართი ფანტაზიის, ღრმა ცოდნის, ორიგინალური, მხოლოდ მისეული ხედვის მქონეა. ძნელი წარმოსადგენია, რომ გალერეაში გამოფენილი უნიკალური ექსპონატები ერთი ადამიანის, ქალის მიერ არის შექმნილი.

დიდი ხანია ვიცოდი, რომ თამრიკო კვესიტაძე თოჯინებს აკეთებდა, მაგრამ თოჯინებიც არის და თოჯინებიც! საშუალო ზომის მაღალმხატვრული ქანდაკებების დონეზე აყვანილი, საოცარი პლასტიკის, ესთეტიკის, ხასიათის მქონე თოჯინები-ქანდაკებები გასაოცრად თანამედროვე და, ამავე დროს, თითქოს წარსულიდან არიან მოსული, თითოეული მათგანის პორტრეტი უდიდესი გემოვნებითა და ცოდნით, ხელით მოხატული კოსტიუმი, პოზა, გუნება-განწყობა სრულიად ინდივიდუალურია და არ მეორდება. თუმცა, ჭეშმარიტი ხელოვნება, ალბათ, არასდროს მეორდება.

დამიჯერეთ, რეკლამას არ ვაკეთებ. თამრიკო კვესიტაძეს და მის შემოქმედებას ჩემი რეკლამა არ სჭირდება. არც ვაჭარბებ. მე, უბრალოდ, ჩემი პირადი შთაბეჭდილების გაზიარებას ვცდილობ, რაც, მერწმუნეთ, სიტყვებით ძალიან ძნელი აღმოჩნდა. არც გთხოვთ, რომ წახვიდეთ, ნახოთ. არა, უბრალოდ, გულწრფელად გირჩევთ, თუ გინდათ, რომ ზღაპრულ სამყაროში აღმოჩნდეთ, დახვეწილი ესთეტიკით დატკბეთ, ქართული ტალანტის მოულოდნელობაში კიდევ ერთხელ თვალნათლივ დარწმუნდეთ, იამაყოთ და ისიამოვნოთ, მაშინ თქვენს შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს მოკიდეთ ხელი და TMS გალერეას ესტუმრეთ.

დამიჯერეთ, ეს დღე თქვენთვის ერთ-ერთი დასამახსოვრებელი გახდება. ზოგჯერ ადამიანი ისეთ რამეს ქმნის, რაც კარგი, აუცილებელიც არის, რომ ყველამ ნახოს და გულგრილსაც ვერავის დატოვებს.

# საახალწლო ანაბარი

წლიური

**11,75%**

დოლარი / ევრო




## + საჩუქრად




- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

**ბანკი რესპუბლიკა** **29 45 99**

ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

# განცხადება

## ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურსს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის მიზნით

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2005 წლის 26 დეკემბრის 11 სთ-დან 2006 წლის 26 იანვრის 17-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქალაქ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისიაში.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- განაცხადი დალუქული პაკეტის სახით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო პროგრამის 4.7 და 4.8 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- ფიზიკური ან იურიდიული პირის რეკვიზიტები;
- შემდეგი ცნობები:
- იურიდიული პირისათვის:
- ცნობა საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება და ოქმი) ასლი;
- "ზეს" გადახდის დამადასტურებელ საბუთს, საწყისი წლიური საიჯარო ქირის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;
- საწყისი წლიური საიჯარო ქირის 25%-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

- ფიზიკური პირისათვის:
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ცნობა სასამართლო ორგანოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის გაკოტრების საქმე;
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- "ზეს" გადახდის დამადასტურებელ საბუთს, საწყისი წლიური საიჯარო ქირის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;
- საწყისი წლიური საიჯარო ქირის 25%-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

**"ზეს" გადახდა უნდა მოხდეს ქ. თბილისის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე:**

ანგარიშის N200122900
საქართველოს ეროვნული ბანკი
სახაზინო კოდი:

| | |
|---|---|
| - გლდანი-ნაძალადევის რაიონი | 300014042 |
| - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი | 300024042 |
| - მთაწმინდა-კრწანისის რაიონი | 300034042 |
| - ვაკე-საბურთალოს რაიონი | 300044042 |
| - ისანი-სამგორის რაიონი | 300054042 |

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა მოთხოვნილ ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკონკურსო კომისია ერთი კვირის ვადაში აცნობებს კონკურსში მონაწილე ყველა პირს კონკურსის შედეგების შესახებ.

კონკურსში გამარჯვებულთან გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება გამარჯვებულის საკონკურსო წინადადება და მხარეთა შორის ურთიერთობათა რეგულირების სხვა პირობები

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ილია შარაშენიძე, საკონკურსო კომისიის მდივანი, საკონტაქტო ტელეფონი 99-53-26, 899 33-22-11, მისამართი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2;

**ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, ტელ: 96-91-26(111), მისამართი, დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24**

დანართი №3

| № | ლოტის სახელწოდება | მთლიანი ფართობი - კვ.მ | ლოტის საწყისი წლიური საიჯარო ქირა ლარებში |
|---|---|---|---|
| 1 | დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი | 24,330 | 849664 |

| | ლოტში შემავალი სახელწოდება საკონკურსოდ არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთის დასახელება | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | განლაგების ფორმა | კატეგორია | პარკირების მაქსიმალური საფასური 1 საათში (ლარი) | ფასიანი დგომის მაქსიმალური დრო დღეღამეში | მაქსიმალური კვირის სამუშაო დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აღმაშენებლის 83 | 336.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 2 | აღმაშენებლის 88-90 | 282.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 3 | აღმაშენებლის 89/24 | 142.50 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 4 | აღმაშენებლის 89/24 | 142.50 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 5 | მარჯანიშვილის ქ. 26-28ა | 531.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 6 | მარჯანიშვილის ქ.31 | 54.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 7 | მარჯანიშვილის ქ. 4-6 | 77.67 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 8 | მარჯანიშვილის ქ. 4-6 | 87.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 9 | მარჯანიშვილის ქ. 2 | 141.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 10 | აღმაშენებლის გამზ. №98-ის მიმდ. | 34.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 11 | აღმაშენებლის გამზ. №100-106-ის მიმდ. | 106.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 12 | აღმაშენებლის გამზ. №108-ის მიმდ. | 36.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 13 | აღმაშენებლის გამზ. №110-ის მიმდ. | 32.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 14 | აღმაშენებლის გამზ. №112-ის მიმდ. | 25.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 15 | აღმაშენებლის გამზ. №114-ის მიმდ. | 32.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 16 | აღმაშენებლის გამზ. №116-118-ის მიმდ. | 47.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 17 | აღმაშენებლის გამზ. №120-ის მიმდ. | 39.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 18 | აღმაშენებლის გამზ. №122-ის მიმდ. | 14.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 19 | აღმაშენებლის გამზ. №124-126-ის მიმდ. | 57.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 20 | აღმაშენებლის გამზ. №128-ის მიმდ. | 70.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 21 | აღმაშენებლის გამზ. №130-134-ის მიმდ. | 58.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 22 | აღმაშენებლის გამზ. №136-ის მიმდ. | 24.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 23 | აღმაშენებლის გამზ. №138-ის მიმდ. | 49.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 24 | აღმაშენებლის გამზ. №140-142-ის მიმდ. | 78.40 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 25 | აღმაშენებლის გამზ. №144-146-ის მიმდ. | 140.70 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 26 | აღმაშენებლის გამზ. №146-148-ის მიმდ. | 259.40 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 27 | აღმაშენებლის გამზ. №148-ის მიმდ. | 158.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 28 | აღმაშენებლის გამზ. №148ა-ის მიმდ. | 40.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 29 | აღმაშენებლის გამზ. №150-ის მიმდ. | 84.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 30 | მეფის ქ. 5 | 108.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 31 | წინამძღვრიშვილის ქ. 125-127 | 222.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 32 | თამარ მეფის გამზ. 154 | 77.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 33 | თამარ მეფის გამზ. 5-11 | 363.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 34 | თამარ მეფის გამზ. 4-14ა | 283.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 35 | თამარ მეფის გამზ. 15/127 | 80.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 36 | თამარ მეფის გამზ. 17-19 | 96.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 37 | თამარ მეფის გამზ. 14-18-22 | 460.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 38 | თამარ მეფის გამზ. 21-27 | 142.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 39 | თამარ მეფის გამზ. 81/29 | 27.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 40 | თევდორე მღვდლის ქ. 3-5 | 260.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 41 | თევდორე მღვდლის ქ. 3-5 | 72.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 42 | თევდორე მღვდლის ქ. 10 | 335.00 | 45 გრადუსით | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 43 | თევდორე მღვდლის ქ. ბაზრის წინ | 44.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 44 | თევდორე მღვდლის ქ. ბაზრის წინ | 266.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 45 | თევდორე მღვდლის ქ. ბაზრის წინ | 157.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 46 | თევდორე მღვდლის ქ. ბაზრის წინ | 175.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 47 | ვაგზლის მოედანი | 307.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 48 | ვაგზლის მოედანი | 261.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 49 | ვაგზლის მოედანი | 1157.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 50 | ვაგზლის მოედანი | 1127.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 51 | ვაგზლის მოედანი მეტროსადგურის სამხრეთით | 489.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 52 | ასათიანის ქ. ბავშვთა სახლის წინ | 354.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 53 | ასათიანის ქ. 10 | 118.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 54 | ასათიანის ქ. 10-ის წინ | 118.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 55 | ასათიანის ქ. 2-8 | 221.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 56 | ასათიანის ქ. 8ა | 34.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 57 | ასათიანის ქ. ცენტრ. საავადმყოფოს წინ | 278.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 58 | წინამძღვრიშვილის ქ. 137-137ა | 455.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 59 | წინამძღვრიშვილის ქ. 137-137ა | 486.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 60 | წინამძღვრიშვილის ქ. 137-137ა | 191.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 61 | ცაბაძის ქ. ,,ბიზნეს ცენტრის'' წინ | 219.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 62 | ცაბაძის ქ. 13-15 | 153.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 63 | ცაბაძის ქ. ბაზრის წინ | 437.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 64 | ცაბაძის ქ. 1-11 | 404.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 65 | ცაბაძის ქ. 1-11-ის მიმდებარედ | 97.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 66 | ცაბაძის ქ. სტადიონის წინ | 415.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 67 | ა. წერეთლის გამზ. ბაზრის წინ | 362.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 68 | ა. წერეთლის გამზ. ბაზრის წინ | 420.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 69 | ა. წერეთლის გამზ. სტადიონის წინ | 431.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 70 | ა. წერეთლის გამზ. სადგურის და ქარხნის ქ. მიმდ. | 99.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 71 | ა. წერეთლის გამზ. ავტოსადგურის წინ მოედანზე | 280.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 72 | ა. წერეთლის გამზ. 142-144 | 27.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 73 | ა. წერეთლის გამზ. 142-144 | 98.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 74 | ა. წერეთლის გამზ. 140-ის მიმდებარედ | 338.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 75 | ა. წერეთლის გამზ. 8-10 | 101.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 76 | აგლაძის ქუჩა | 578.00 | პარალელური მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 77 | აგლაძის ქუჩა | 120.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 78 | აგლაძის ქუჩის მიმდებარედ | 634.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 79 | აგლაძის ქ. 37ა | 144.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 80 | აგლაძის ქ. 37 | 286.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 81 | აგლაძის ქ. 37 | 81.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 82 | აგლაძის ქ. 39-39ა | 427.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 83 | ხიზანიშვილის და აგლაძის ქ. გადაკვეთაზე | 137.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 84 | კარბელაშვილის ქ. მეტროსადგურის წინ მოედანზე | 152.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 85 | კარბელაშვილის ქ. მეტროსადგურის წინ მოედანზე | 215.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 86 | კარბელაშვილის ქ. მეტროსადგურის წინ მოედანზე | 182.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 87 | კარბელაშვილის ქ. მეტროსადგურის წინ მოედანზე | 86.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 88 | კარბელაშვილის ქ. ვაგზლის მოედ. წინ ზემოთ | 472.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 89 | ხიზანიშვილის ქ. | 51.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 90 | ხიზანიშვილის ქ. | 63.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 91 | ხიზანიშვილის ქ. | 250.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 92 | მიქელაძის ქ. საავადმყოფო ცენტრის წინ | 169.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 93 | მიქელაძის ქ. საავადმყოფო ცენტრის წინ | 94.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 94 | მიქელაძის ქ. საავადმყოფო ცენტრის წინ | 83.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 95 | მიქელაძის ქ. სუპერმარკეტის წინ | 379.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 96 | გ. შინდელის ქ. მიწისქვეშა გადასასვლელთან | 355.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 97 | გ. შინდელის ქ. მიწისქვეშა გადასასვლელთან | 395.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 98 | ბელიაშვილის ქ. მეტ. გადასასვლელთან | 386.00 | მართობული პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 99 | ბელიაშვილის ქ. | 32.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 100 | ბელიაშვილის ქ. | 228.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 101 | გ. შინდელის ქ. ბაღთან | 393.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 102 | გ. შინდელის ქ. მიწისქვეშა გადასასვლელთან | 2187.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| | სულ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი | 24,330 | - | - | - | - | - |

| № | ლოტის სახელწოდება | მთლიანი ფართობი - კვ.მ | ლოტის საწყისი წლიური საიჯარო ქირა ლარებში |
|---|---|---|---|
| 2 | მთაწმინდა-კრწანისის რაიონი | 8,852 | 301558 |

| | ლოტში შემავალი სახელწოდება საკონკურსოდ არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთის დასახელება | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | განლაგების ფორმა | კატეგორია | პარკირების მაქსიმალური საფასური 1 საათში (ლარებში) | ფასიანი დგომის მაქსიმალური დრო | კვირის სამუშაო დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნიკოს სახლის მიმდებარედ | 92.90 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 2 | ნიკოს სახლის მიმდებარედ | 421.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 3 | სასტუმრო საქართველო | 49.00 | პარალელური | 1 | 1.0 | 24 საათი | სრული კვირა |
| 4 | კოსტავას 12/25 | 190.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 5 | მ. კოსტავას ქ. | 120.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 6 | მეტრო რუსთაველი გაგარინის ქუჩა | 35.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 7 | გაგარინის ქუჩა მიმდებარედ | 50.30 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 8 | გაგარინის ქ.ფილარმონიასთან აკვარიუმთან | 240.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 9 | რუსთაველის გამზ. 37 | 80.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 10 | ზანდუკელის 4 | 30.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 11 | რუსთაველის 44-46 | 180.00 | პარალელური | 1 | 1.0 | 24 საათი | სრული კვირა |
| 12 | რუსთაველის გამზ. 19 | 146.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 13 | ლესელიძის ქუჩა ფუნიკულიორთან | 100.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 14 | რ. ლაღიძის ქუჩა 27 | 470.00 | 45 გრადუსით | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 15 | ქიქოძის ქუჩა 2/28 | 330.00 | 45 გრადუსით | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 16 | გ. ტაბიძის ქუჩა 1 | 71.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 17 | მ. ლაღიძის ქუჩა 4-6 | 224.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 18 | ბესიკის ქუჩა 1-3 | 131.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 19 | ბესიკის ქუჩა 5 | 130.66 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 20 | ჭონქაძის ქუჩა 1-6 სახ. თეატრის მიმდ. | 202.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 21 | ჭონქაძის ქუჩა ცენ. სამხედრო და სასტუმრო ოდის წინ | 242.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 22 | კონსერვატორიის მოედანი ბარათის მიმდ. | 99.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 23 | ბარათის მიმდებარედ | 670.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 24 | ბარათის მიმდებარედ | 148.80 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 25 | კონსერვატორიის მოედანი ბარათის მიმდ. | 254.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 26 | კონსერვატორიის მოედანი ბარათის მიმდ. | 124.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 27 | კონსერვატორიის მოედანი ბარათის მიმდ. | 141.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 28 | კონსერვატორიის მოედანი ბარათის მიმდ. | 91.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 29 | კონსერვატორიის მოედანი ბარათის მიმდ. | 133.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 30 | პუშკინის ქუჩა 13-27/40 | 368.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 31 | გ. ლეონიძის 6-14 | 227.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 32 | ქართლის ქუჩა 10 მეტროს უკან | 235.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 33 | ლერმონტოვის ქუჩა 2-18 | 331.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 34 | ბათუმის მარჯვენა სანაპირო ქარვასლასთან | 108.00 | მართობული | 1 | 1.0 | 24 საათი | სრული კვირა |
| 35 | ქარვასლასთან | 168.00 | 45 გრადუსით | 1 | 1.0 | 24 საათი | სრული კვირა |
| 36 | გორგასლის ქუჩა 7 | 221.00 | მართობული | 1 | 1.0 | 24 საათი | სრული კვირა |
| 37 | ბოტანიკის ქ. მთაწმინდა-კრწანისის გამგეობასთან | 758.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 38 | მთაწმინდა-კრწანისის გამგეობასთან | 1240.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| | სულ მთაწმინდა-კრწანისის რაიონი | 8851.66 | - | - | - | - | - |

| № | ლოტის სახელწოდება | მთლიანი ფართობი - კვ.მ | ლოტის საწყისი წლიური საიჯარო ქირა ლარებში |
|---|---|---|---|
| 3 | ვაკე-საბურთალოს რაიონი | 8,346 | 286121 |

| | ლოტში შემავალი სახელწოდება საკონკურსოდ არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთის დასახელება | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | განლაგების ფორმა | კატეგორია | პარკირების მაქსიმალური საფასური 1 საათში (ლარებში) | ფასიანი დგომის მაქსიმალური დრო | კვირის სამუშაო დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლუნაჩარსკი | 358.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 2 | ვერიკოცენტრი | 62.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 3 | ჭავჭავაძის 74 | 182.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 4 | ჭავჭავაძის 39 | 717.00 | 45 გრადუსით | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 5 | ბარი ,,ქარავი'' | 216.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 6 | ჭავჭავაძის 48, ვაკის პარკის შესასვლელი | 118.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 7 | ვაკის პარკის შეს. მიმდებარე ქუჩა | 68.20 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 8 | ვაკის პარკის შეს. მიმდებარე ქუჩა | 52.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 9 | ვაკის პარკის შეს. მიმდებარე ქუჩა | 108.60 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 10 | ვაკის პარკის შეს. მიმდებარე ქუჩა | 72.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 11 | ფალიაშვილის 33 | 147.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 12 | ჭავჭავაძის 27/29 | 25.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 13 | ჭავჭავაძის 27/29 | 49.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 14 | ჭავჭავაძის 27/29 | 43.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 15 | ჭავჭავაძის 34 | 113.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 16 | ,,კუს ტბა'' მიმდებარედ | 122.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 17 | ,,კუს ტბა'' მიმდებარედ | 215.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 18 | ,,კუს ტბა'' მიმდებარედ | 214.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 19 | ,,კუს ტბა'' მიმდებარედ | 170.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 20 | ქავთარაძის 29/31 | 233.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 21 | ქავთარაძის 16 | 73.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 22 | ალ. ყაზბეგის 44 | 219.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 23 | ზოოპარკი | 134.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 24 | ვაკე-საბურთალოს გამზ. | 58.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |

გაგრძელება A7 გვერდზე

# განცხადება

## ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურსს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის მიზნით

ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის საკონკურსო პროგრამა

**1. შესავალი**

1.1 საქართველოს პარლამენტის მიერ, ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" და "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონების მიღების შემდეგ ლიცენზირებას და ნებართვის გაცემას დაქვემდებარებული საქმიანობების შემცირებასთან და კონკურენციის განვითარებისათვის პირობების შექმნასთან ერთად, შესაძლებელი გახდა გაფართოვდეს თანამშრომლობის სფეროები ადგილობრივ ორგანოებსა და მეწარმეებს შორის და ადგილობრივმა ხელისუფლებამ აქტიურად გამოიყენოს ქალაქის მართვის თანამედროვე ინსტრუმენტები.

"სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ადგილობრივ ორგანოს შესაძლებლობა ეძლევა იჯარით გასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთები.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 13 დეკემბრის N222 დადგენილებით, ქ. თბილისის მთავრობას მიეცა ნებართვა განკარგოს (იჯარით გასცეს) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთები.

1.2 პროგრამა შემუშავებულია ქ. თბილისში პარკირების სფეროს მოწესრიგების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 13 დეკემბრის N222 დადგენილებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**2. არსებული მდგომარეობა**

2.1 დღეის მდგომარეობით პარკირების სფეროს რეგულირების მექანიზმი ქ. თბილისში ფაქტობრივად აღარ არსებობს და ქ. თბილისის ბიუჯეტი 2005 წლის სექტემბრიდან ვერ იღებს არასაგადასახადო შემოსავალს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებიდან. გარდა ფინანსური დანაკარგისა, აღნიშნული სფეროს მოუწესრიგებლობა მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ქ. თბილისში სატრანსპორტო მოძრაობას და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. ამასთან ერთად, პარკირების სფეროში დასაქმებული მომსახურე პერსონალი დარჩა სამუშაოს გარეშე.

**3. პროგრამის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები**

3.1 ამ პროგრამის რეალიზაციის მიზნით გამოცხადებული კონკურსის მთავარი მიზანია, გამოავლინოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთების, რომლებიც გათვალისწინებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის, პოტენციური ოპერატორი (ოპერატორები), რომლის წინადადებები და შემოთავაზება საუკეთესოდ იქნება მიჩნეული კომისიის მიერ.

3.2 კონკურსის შედეგების მიხედვით, ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია (შემდგომში მოიხსენიება, როგორც საკონკურსო კომისია), კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გააფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც აისახება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთების ოპერირების და მიწის იჯარით გადაცემის პირობები.

**4. კონკურსის თემა და პირობები:**

4.1 ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურსს, რომლის პირობებითაც გათვალისწინებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთების 1 წლით იჯარით გაცემა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების მოსაწყობად. იჯარით გასაცემი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთები დაყოფილია 5 ნაწილად (შემდგომში მოიხსენიება, როგორც ლოტი). წლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა განისაზღვრება ლოტების მიხედვით (დანართი N3).

4.2 საიჯარო ქირის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად, წინასწარი გადახდის წესით.

4.3 ახალი საიჯარო ურთიერთობების გამოცხადების შემთხვევაში, თანაბარი პირობების არსებობისას, მოიჯარეს ეძლევა უპირატესი უფლება სხვა კონკურენტებთან შედარებით. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შექმნილი ინტელექტუალური და მატერიალური ქონება, ხელშეკრულების დასრულების ან შეწყვეტის შემთხვევაში გადაეცემა ქ. თბილისის მთავრობას.

4.4 კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (შემდგომში ეს პირები მოიხსენიება, როგორც პრეტენდენტი), რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ ხელშეკრულებას საკონკურსო კომისიასთან, წარმოდგენილი საკონკურსო პირობების შესაბამისად.

4.5 კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

I. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

II. ფიზიკური ან იურიდიული პირის რეკვიზიტები;

III. ცნობები:

- იურიდიული პირისათვის:
- ცნობა საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება და ოქმი) ასლი
- "ბეს" გადახდის დამადასტურებელ საბუთი, საწყისი წლიური საიჯარო ქირის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;
- საწყისი წლიური საიჯარო ქირის 25%-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.
- ფიზიკური პირისათვის:
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ცნობა სასამართლო ორგანოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის გაკოტრების საქმე;
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- "ბეს" გადახდის დამადასტურებელ საბუთი, საწყისი წლიური საიჯარო ქირის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში
- საწყისი წლიური საიჯარო ქირის 25%-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

4.6 საზღვარგარეთის ქვეყნებში მუშაობის გამოცდილება განხილული იქნება როგორც უპირატესობა.

4.7 პრეტედენტმა, განცხადებასთან ერთად, საკონკურსო კომისიას წერილობით დალუქული პაკეტის სახით უნდა წარუდგინოს განაცხადი და წინადადებები (შემდგომში - განაცხადი), რომელშიც ასახული უნდა იყოს პრეტენდენტის ხედვა იჯარით გასაცემი ტერიტორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების ოპერირების საკითხებთან დაკავშირებით. განაცხადი უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი საკითხებით:

ა) შემოთავაზებული წლიური საიჯარო ქირის ოდენობა ლოტზე (ლოტში შემავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის თითეული მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის მითითებით), რომელსაც პრეტენდენტი სთავაზობს საკონკურსო კომისიას (ეს შეთავაზება არ უნდა იყოს ამ პროგრამის დანართი N3-ით განსაზღვრულ ლოტის საწყის წლიურ საიჯარო ქირაზე ნაკლები). ლოტის შემოთავაზებული წლიური საიჯარო ქირა უნდა იყოს ლოტში შემავალი თითეული მიწის ნაკვეთის შემოთავაზებული წლიური საიჯარო ქირების ჯამი.

ბ) რა ღონისძიებების გატარებას აპირებს პრეტენდენტი იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების სფეროში არსებული მდგომარეობა.

გ) რა ვადებში აპირებს პრეტენდენტი ამ პროგრამის 4.8 მუხლით განსაზღვრული აუცილებელი ვალდებულებების შესრულებას.

დ) რა გამოცდილება გააჩნია პრეტენდენტს, ან მის პარტნიორს (პარტნიორებს) პარკირების სფეროს ოპერირების საქმეში.

4.8 გარდა ამისა, განაცხადში უნდა აისახოს მთავრობის მიერ განსაზღვრული, კონკურსში მონაწილეობის სხვა აუცილებელი პირობები, რომელთა შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა აიღოს შემდეგი ვალდებულებები:

ა) იზრუნოს იჯარით აღებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზე;

ბ) ხელშეკრულების გაფორმების დღიდან მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში აღჭურვოს ავტოსადგომი შესაბამისი საგზაო ნიშნებითა და საინფორმაციო დაფებით (დანართი N1);

გ) ხელშეკრულების გაფორმების დღიდან მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში დახაზოს გასაჩერებელი ადგილები პარკირების ტიპის შესაბამისად (დანართი N2);

დ) გაითვალისწინოს მძღოლთა და ქვეითთა უსაფრთხოების ნორმები;

ე) ავტოსადგომებზე გამოყოს ადგილები შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის (დანართი N2);

ვ) ავტოსადგომზე მომუშავე პერსონალი შემოსოს ერთნაირი, ქალაქის მთავრობის მიერ დადგენილი დიზაინის უნიფორმით;

ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისთვის მაქსიმალური საფასური კატეგორიების მიხედვით ერთ საათში არ იქნება ამ პროგრამით გათვალისწინებულ ოდენობაზე მეტი (დანართი N3);

თ) ავტოსადგომზე ფასიანი დგომის დრო და სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში არ იქნება ამ პროგრამით გათვალისწინებულ პარამეტრებზე მეტი (დანართი N3);

ი) ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის მთავრობას წარმოუდგინოს ინფორმაცია იჯარით აღებულ თითეულ ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებზე ფასიანი დგომის კონკრეტული დროისა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის გამოყოფილი ადგილების შესახებ;

კ) იჯარით გასაცემ ადგილებს გამოიყენოს მხოლოდ ავტოსადგომის ფუნქციით;

ლ) სამუშაო საათების შემდეგ არ შეზღუდავს ამ ადგილებით სარგებლობას;

მ) დამატებითი მომსახურების შეთავაზების შემთხვევაში, პირობები შეათანხმოს ქ. თბილისის მთავრობასთან.

4.9 კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა, "ბეს" სახით, საკონკურსო კომისიის მიერ მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს საწყისი წლიური საიჯარო ქირის 5 პროცენტი ლარებში, რომელიც გამარჯვებულ პრეტენდეტს ჩაეთვლება იჯარის ვადის დასასრულს გადასახდელი იჯარის ქირაში, ხოლო დამარცხებულს (დამარცხებულებს) და ამ პროგრამის 5.6. პუნქტით გათვალისწინებულ პირს (პირებს) - ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდება იმავე წესით, რომლითაც მან ეს თანხა შემოიტანა.

4.10 კონკურსში გამარჯვებული, მის მიერ საიჯარო ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან მისი ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ქ. თბილისის მთავრობას გადაუხდის პირგასამტეხლოს მის მიერ შემოთავაზებული წლიური საიჯარო ქირის 25%-ს.

4.11 საკონკურსო კომისია იტოვებს უფლებას საჭიროების შემთხვევაში:

- გააუქმოს ან დაამატოს ცალკეული ავტოსადგომი ან ავტოსადგომთა რიგი;
- შეცვალოს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების ტიპი, დრო, დგომის ხანგრძლივობა, ფასიანი დგომის ხანგრძლივობა;

**5. კონკურსის ორგანიზება და შედეგების გაფორმება.**

5.1 საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში, პრეტენდენტი წარუდგენს საკონკურსო კომისიას განცხადებას კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, "ბეს" გადახდის დამადასტურებელ საბუთს, საწყისი წლიური საიჯარო ქირის 25%-ის საბანკო გარანტიას, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულებას, განაცხადს ერთი დალუქული პაკეტის სახით, სახელწოდებით "განაცხადი" და წარწერით: "გაიხსნას მხოლოდ საკონკურსო კომისიის თანდასწრებით" და ამ პროგრამის 4.5 პუნქტით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს და ცნობებს.

5.2 საკონკურსო კომისია, კონკურსის დღეს, დანიშნულ დროს, პრეტენდენტთა წარმომადგენლების თანდასწრებით, გახსნის "განაცხადი"-ს დალუქულ პაკეტებს და დაიწყებს პრეტენდენტთა წინადადებების განხილვას.

5.3 კონკურსში ერთ ლოტზე გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

5.4 კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება იმ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი, რომელიც საუკეთესოდ იქნება ცნობილი საკონკურსო კომისიის მიერ და სრულად დააკმაყოფილებს ამ პროგრამით დასმულ საკონკურსო პირობებს. თუ წარმოდგენილი იქნება 2 ან მეტი განაცხადი, რომელიც საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებული იქნება როგორც თანაბარი, უპირატესობა მიენიჭება იმას, რომელიც ითვალისწინებს უფრო მეტი საიჯარო ქირის გადახდას.

5.5 თუ წარმოდგენილი განაცხადი, ან დართული დოკუმენტები საჭიროებს შემოწმებას ან დაზუსტებას, საკონკურსო კომისიამ შეიძლება გადადოს გადაწყვეტილების მიღება იმ ვადით, რაც დაჭირდება ამ მონაცემების შემოწმებას ან დაზუსტებას, მაგრამ არაუმეტეს ერთი კვირისა.

5.6 თუ პრეტენდენტის განაცხადში ერთი ან მეტი კომპონენტი დამოკიდებულია სხვა პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ საიჯარო ქირაზე, ან სხვა რაიმე პირობაზე, ამგვარი განაცხადი არ განიხილება.

5.7 გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც ოპერატორი, საკონკურსო კომისია ქ. თბილისის მთავრობის მიერ კონკურის შედეგების დამტკიცებიდან 2 კვირის ვადაში გააფორმებს მიწის საიჯარო ხელშეკრულებას. (შემდგომში - ხელშეკრულება). ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, გამოცხადებული კონკურსის პირობების და შემოტანილი განაცხადის საფუძველზე.

5.8 ხელშეკრულებით ოპერატორს დაეკისრება ამ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების, საკონკურსო პირობების, აგრეთვე მის მიერვე აღებული ვალდებულებების შესრულება. ქ. თბილისის მთავრობა დააწესებს მონიტორინგს ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების დარღვევა შეძლება გახდეს მისი გაუქმების საფუძველი და დამრღვევ მხარეს დაეკისროს მატერიალური პასუხიმგებლობა.

5.9 ხელშეკრულების შესრულებისას ოპერატორი იქნება დამოუკიდებელი კონტრაქტორი, მაგრამ მას არ შეუძლია თავისი უფლები გადასცეს სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, მათ შორის მისივე მონაწილეობით შექმნილ სააგენტოს, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს ან რაიმე სხვა ერთობლივ ორგანიზაციას ქ. თბილისის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

5.10 ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ოპერატორი. ოპერატორის მიერ დაქირავებული ყველა თანამშრომელი, წარმომადგენელი თუ ქვემოიჯარადე, იქნება ამ კომპანიის სრული კონტროლის ქვეშ.

5.11 ქ. თბილისის მთავრობა არ ჩაერევა ოპერატორის საქმიანობაში, წინამდებარე საკონკურსო პროგრამით, ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობების გარდა.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25 | გამსახურდიას 2 | 65.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 26 | გამსახურდიას 2 | 81.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 27 | [illegible] | 333.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 28 | [illegible] | 204.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 29 | გამსახურდიას 5 | 205.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 30 | გამსახურდიას 12 [illegible] | 69.00 | პარალელური | 1 | 1.0 | 24 საათი | სრული კვირა |
| 31 | გამსახურდიას 11 | 103.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 32 | გამსახურდიას 14 | 106.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 33 | გამსახურდ. 16-20 | 175.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 34 | გამსახურდიას 21 | 123.80 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 35 | გამსახურდიას 24 | 70.40 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 36 | გამსახურდიას 24 | 37.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 37 | გამსახურდ. 29-31 | 243.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 38 | [illegible] 70 | 175.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 39 | [illegible] ქ. 2 | 51.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 40 | [illegible] ქ. 4 | 86.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 41 | [illegible] ქ. 17 | 121.50 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 42 | [illegible] | 92.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 43 | [illegible] | 156.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 44 | [illegible] | 203.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 45 | [illegible] 12-12ა | 290.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 46 | [illegible] 14 | 101.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 47 | ვაჟა-ფშაველას 21 | 207.00 | 45 გრადუსით | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 48 | ვაჟა-ფშაველას 16 | 450.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 49 | ვაჟა-ფშაველას 46 | 267.70 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 50 | ვაჟა-ფშაველას 48-54 [illegible] | 220.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 51 | ვაჟა-ფშაველას 48-54 [illegible] | 250.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 52 | ვაჟა-ფშაველას 45 [illegible] 2 | 92.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| | სულ ვაკე-საბურთალოს რაიონი | 8346.20 | - | - | - | - | - |

| № | ლოტის სახელწოდება | მთლიანი ფართობი - კვ.მ | ლოტის საწყისი წლიური საიჯარო ქირა ლარებში |
|---|---|---|---|
| 5 | გლდანი-ნაძალადევის რაიონი | 2,314 | 77828 |

| | ლოტში შემავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთის დასახელება | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | პარკირების ფორმა | კატეგორია | პარკირების მაქსიმალური საფასური 1 საათში (ლარებში) | ფასიანი დგომის მაქსიმალური დრო | კვირის სამუშაო დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 141.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 2 | [illegible] | 59.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 3 | [illegible] | 60.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 4 | [illegible] | 193.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 5 | [illegible] ქ. N48-50 [illegible] | 474.00 | 45 გრადუსით | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 6 | [illegible] | 133.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 7 | [illegible] | 124.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 8 | [illegible] | 109.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 9 | [illegible] | 110.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 10 | [illegible] ქ. 1 [illegible] | 41.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 11 | [illegible] ქ. 1 [illegible] | 40.30 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 12 | [illegible] | 55.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 13 | [illegible] | 213.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 14 | გლდანი-ნაძალადევის რაიონის [illegible] | 93.54 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 15 | გლდანი-ნაძალადევის რაიონის [illegible] | 68.81 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 16 | გლდანი-ნაძალადევის რაიონის [illegible] | 56.82 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 17 | გლდანი-ნაძალადევის რაიონში [illegible] | 234.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 18 | გლდანი-ნაძალადევის რაიონში [illegible] | 101.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| | სულ გლდანი-ნაძალადევის რაიონი | 2,314 | - | - | - | - | - |

| № | ლოტის სახელწოდება | მთლიანი ფართობი - კვ.მ | ლოტის საწყისი წლიური საიჯარო ქირა ლარებში |
|---|---|---|---|
| 4 | ისანი-სამგორის რაიონი | 4,730 | 192765 |

| | ლოტში შემავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთის დასახელება | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | პარკირების ფორმა | კატეგორია | პარკირების მაქსიმალური საფასური 1 საათში (ლარებში) | ფასიანი დგომის მაქსიმალური დრო | კვირის სამუშაო დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეტრო ავლაბარი | 184.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 2 | მეტრო ავლაბარი | 198.08 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 3 | მეტრო ავლაბარი | 234.00 | 45 გრადუსით | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 4 | მეტრო ისანი | 46.19 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 5 | მეტრო ისანი | 254.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 6 | მეტრო ისანის მიმდებარედ | 176.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 7 | ისნის [illegible] | 243.50 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 8 | ქ. წამებულის გამზ. 91 | 166.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 9 | ქ. წამებულის გამზ. 91 | 54.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 10 | ქ. წამებულის გამზ. (რკინიგზის მიმდებარედ) | 280.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 11 | [illegible] ქუჩა 1-5 | 125.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 12 | [illegible] ქუჩა 6-12 | 115.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 13 | [illegible] ქუჩა | 81.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 14 | [illegible] გამზ. 3-5 | 261.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 15 | ქ. წამებულის გამზ. ([illegible]) | 220.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 16 | მეტრო [illegible] მიმდებარედ | 156.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 17 | [illegible] მიმდებარედ | 213.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 18 | [illegible] ქუჩა | 356.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 19 | [illegible] ქუჩა | 356.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 20 | [illegible] ქუჩა (მეტრო [illegible]) | 341.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 21 | [illegible] მიმდებარედ | 425.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 22 | [illegible] მიმდებარედ | 245.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| | სულ ისანი-სამგორის რაიონი | 4,730 | - | - | - | - | - |

### დანართი №: 1

საგზაო ნიშანი (პარკინგი)



საინფორმაციო დაფა (პარკირებისთვის დასაშვები დრო)



საინფორმაციო დაფა (პარკინგის ტიპი)



ფასიანი დგომის დრო და ფასი



### დანართი №: 2

ზოლის მართობული პარკინგი



45 გრადუსიანი პარკინგი



პარალელური პარკინგი



# მარჯვნივ და მარცხნივ

გიგა გურასაშვილი

*მეორე სართულის აივნიდან დრამერი "შემყვანი" მუსიკით შეგვეგება. ქვევით მიმები მუსიკის რიტმს აჰყოლოდნენ. მერე თეთრი ხალიჩით შენობაში შეგვიძღვნენ, მანამდე კი წითელი ლენტი გადაჭრეს და მესამე სართულიდან ფეიერვერკები სანთელივით ჩამოიღვენთა. როგორც კი კიბეებს მივუახლოვდით, საფეხურების გასწვრივ ცეცხლი ამოიფრქვა. თავზე კი ბრჭყვიალები დაგვაყარეს. მარჯვნივ (Right Side) 30-იანი წლების ერთგვარი ამერიკული ბარია, რომელიც მელომანებს ქართველი და უცხოელი შემსრულებლებით აჟღერებული ჯაზითა და რეტროთი იზიდავს, მარცხნივ (Left Side) ე.წ. "Lounge Bar" დამუხტული ელექტრონული მუსიკით. ანუ აქ გასული საუკუნის ჟღერადობა და აწმყო თანაბრად და გემოვნებითაა შეზავებული. ისე, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, აჯობებდა საკუთარი თვალით გენახათ, შეგეგრძნოთ და დამტკბარიყავით იმით, რასაც კლუბ-რესტორანი "თუ საიდი" ("TWO SIDE") გთავაზობთ.*



ზაალ გულაშვილის ფოტო

მანამდე მე შეგიწყობთ ხელს და გეტყვით, რომ დღეს და მერეც, როდესაც მოგესურვებათ, წადით, დანარჩენს კი იქ ნახავთ, შეიგრძნობთ.

კლუბ-რესტორანი, ალბათ, ისეთი ფორმაა, რომელიც ყველა გემოვნების ადამიანისთვის მისაღები და სასურველი უნდა იყოს. გუშინ სწორედ ასეთი კლუბ-რესტორნის პრეზენტაციაზე ყოფნის პატივი მხვდა. ისე, ამაში გარკვეულწილად პროფესიამაც შემიწყო ხელი.

თავდაპირველად მარჯვნივ შევედი, უფრო სწორად შემიტანეს. სტუმრები იმდენი იყვნენ, დარბაზი ვერ იტევდა. მალევე მოგვესალმნენ და გვაცნობეს, დღეს ყველაზე ახალი და ყველაზე ზეპური კლუბის პრეზენტაციის სტუმრები ხართო, ზეპური საზოგადოების გუნება-განწყობაზე კი კლუბის რეზიდენტი "რაით საიდ ბენდი" ზრუნავდა. მოგვიანებით თავი მარცხენა მხარეს ამოვყავი - ესეც სხვათა დახმარებით. აქ ელექტრონული მუსიკა ძიგძიგებდა.

სიტუაციაში გარკვევის შემდეგ სტუმრებიც ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთნი მარჯვნივ, მეორენი - მარცხნივ.

მუსიკა აქ ყოველთვის გემოვნებით იქნება შერჩეული და ამაზე კლუბის არტ-ჯგუფი იზრუნებსო. ისიც გვითხრეს, კლუბი სპეციალურად მუსიკალური "გურამანებისთვისაა" გათვალისწინებული და ძირითადად მოემსახურება საქმოსანი თუ პოლიტიკური ფენის ზეპურ წარმომადგენლებსო.

ახლა იმათზეც, თუ ვისზე ვსაუბრობთ. სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი - M-ჯგუფი, რომელიც კურირებს რესტორან "მეიდანს", კლუბ "მეიდანს", რესტორანს "მეტეხის ჩრდილში", სასტუმროებს ბაკურიანში "ვარსკვლავი" და "ვილა პარკს", გუდაურში "პანორამას", ასევე მეთვალყურეობას გაუწევს კაფე "ანაბეჭდს", რომელიც სხვათა შორის, იანვრის ბოლოს გაიხსნება.

და მაინც, კიდევ რითია განსაკუთრებული "თუ საიდი"? საქართველოში საკლუბო ცხოვრება უფრო მოზარდებს - "თინეიჯერებს" შორისაა გავრცელებული. კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ "ექსტაზის მოყვარულებისგან" თავის ასარიდებლად, ფასები და შემოთავაზებული მუსიკა უფრო საქმიანი წრის წარმომადგენლებს მოხიბლავს. ხოლო მუსიკალურ გემოვნებაზე და სტუმართა დასვენებაზე იზრუნებს კლუბის არტ-ჯგუფი. ის, რომ აქ გემოვნებიანი და ხარისხიანი მუსიკით დატკბობის საშუალება გექნებათ, ამაში ეჭვი არ მეპარება, რადგან ამაზე ჩემი მეგობარი კლუბის პრომოუტერი ლევან ღვინიანიძეც იზრუნებს, რომლის მუსიკალური ხედვაც, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მისაღებია. დარწმუნებული ვარ, თქვენც მოგეწონებათ. დასტურად იმათ ვინაობას გაგაცნობთ, რომლებიც კლუბის სტუმრებს მუსიკალურ ბგერათა მორევში გაახვევს. ამის პირველი ნიშანი გუშინდელი საღამოც იყო, როდესაც იბიცური ჰაუს-მუსიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ჯონატან სა ტრინჩამ კლუბის სტუმრები ელექტრონული მუსიკის რიტმში ოსტატურად ჩაგვსვა. შემიძლია ბევრი ცნობილი დიჯეი ჩამოვთვალო, რომლებიც "თუ საიდში" დაუკრავენ, მაგრამ ამისთვის ადგილი არ გვეყოფა. ამიტომ მხოლოდ ერთს გაგანდობთ: 31 დეკემბერს კლუბში დაუკრავს დიჯეი სტივ ჯერარდი. შთაბეჭდილების შესაქმნელად გეტყვით, რომ ჯერარდი მსოფლიოს უძლიერესი დიჯეების ექვსეულშია. ამავე დღეს თქვენს განწყობაზე იზრუნებს გერმანიაში მოღვაწე, ამასთან, საკმაოდ პოპულარული ქართული ჯგუფი "შინიც".

ჰო, მართლა, M-ჯგუფის ყველა "ობიექტზე" დაწესებულია მკაცრი "Face Control"-ი.

ესეც მისამართი: სანაპირო, ბამბის რიგი N:7

ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge

# TV 5-ის პროგრამა

**26 დეკემბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. **08.30** ტელედილა. **11.05** ევროპის სასახლეები. დოკ. ფილმი. **12.15 BYE BYE პროსპერო.** საცირკო სანახაობა. **15.30** აკუსტიკა. **16.25** დროის ტარება. მხ ფილმი. რეჟისორი კლოდ პინოტო. 1980. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მივლინება არქტიკაში. დოკ. ფილმი. **20.25** გადაცემა: არც იოცნებო. **23.45** გადაცემა: ტელე-ნოსტალგია. **24.30** ოპერაცია- CORNED-BEEF. რეჟისორი ჟან-მარი პუარე. 1991. **03.05** ალისას სარკე. თელესერიალი.

**27 დეკემბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.30** (შვეიცარია), 02.55(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ალექსანდრია. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ევროპის სასახლეები. დოკ. ფილმი. **12.15** დიდებულები. მხ ფილმი. რეჟისორი პატრიკ ლეკონტი. **15.30** შანელის ნიშანი. დოკ. ფილმი. **16.30** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მივლინება არქტიკაში. დოკ. ფილმი. **20.25** ადამიანი. ტელე-სპექტაკლი. **24.30** გადაცემა: ტარატატა. **03.10** გრაფინია დე გრაზის თამაშები. მხ ფილმი. რეჟისორი კატრინ ბინე. 1980.

**28 დეკემბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.20** (შვეიცარია), **02.55** (აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** მამონტებზე მონადირეები. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ევროპის სასახლეები. დოკ. ფილმი. **15.30** შანელის ნიშანი. დოკ. ფილმი. **16.30** ეშმაკთან გარიგება. მხ. ფილმი. რეჟისორი პატრიკ ვოლსონი. 2002. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მივლინება არქტიკაში. დოკ. ფილმი. **23.45** ტელე-ნოსტალგია. **24.30** საჰარაში დამარხული განძი. დოკ. ფილმი. **04.20** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი.

**29 დეკემბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.15** (შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ლინდა ლემეი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ევროპის სასახლეები. დოკ. ფილმი. **12.15** კლარა შელერი. ტელესერიალი. **15.30** შანელის ნიშანი. დოკ. ფილმი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მივლინება არქტიკაში. დოკ. ფილმი. **20.25** იტალიელები. მხ. ფილმი. რეჟისორი ფილომენ ესპოზიტო. 1999. **24.30** დროის ტარება N2. მხ ფილმი. რეჟისორი კლოდ პინოტო. 1982. **04.30** ის, ვინც რჩება. მხ ფილმი. რეჟისორი ვირჯინი სოვერი. 2005.

**30 დეკემბერი**

**08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.10** (შვეიცარია), 03.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** ევროპის სასახლეები. დოკ. ფილმი. **12.15** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **15.30** შანელის ნიშანი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მივლინება არქტიკაში. დოკ. ფილმი. **20.25** ისევ სკაუტი. მხ ფილმი. რეჟისორი ჟერარ სკოტო. 1985. **23.45** ტელე-ნოსტალგია. **24.30** დალიდა. ტელესერიალი. **04.20 BYE BYE პროსპერო.** საცირკო სანახაობა. ტელე-სპექტაკლი.

**31 დეკემბერი**

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 03.00(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.25** საბავშვო შემეცნებითი გადაცემა: ბიდუმ-ბიდუმ. **10.25** პლანეტის 7 დღე. **11.05** ალექსანდრია. დოკ. ფილმი. **12.15** დალიდა. ტელესერიალი. **13.55** გადაცემა: მარჯვე ხელები. **16.30** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** წინ, ჯუნგლებისაკენ. დოკ. ფილმი. **22.30** რესპუბლიკის პრეზიდენტის საახალწლო მილოცვა. **23.00** მსოფლიოს ყველაზე დიდი კაბარე. დოკ. ფილმი.

**1 იანვარი.**

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00, 02.30** (შვეიცარია), **03.50** (აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ჰიმალაი. დოკ. ფილმი. 08.2 კლასიკური მუსიკის კონცერტი. **09.55** გადაცემა: მარჯვე ხელები. **11.05** წინ, ჯუნგლებისაკენ. დოკ. ფილმი. **14.05** ჰიმალაი. დოკ. ფილმი. **16.30** ზაპონების ოჯახი. **20.30** გადაცემა: მხოლოდ კვირა დღეს. **03.30** შენი პირი. ოპერეტა. რეჟისორი ფილიპ ბეზიატი. 2005. **03.05** გადაცემა: ტარატატა. **05.05** მე-20 ფრანკოფილიის ფესტივალი ჟანლუი ფულკიესთან ერთად.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საზოგადოებრივი კვების ობიექტის) იჯარის წესით გაცემის მიზნით

**იჯარით გასაცემი ქონების მისამართი:** თბილისი, კოსტავას N68

**ფართი:** 120 კვ/მ

**სახეობა:** არასაცხოვრებელი, საზ.კვების ობიექტი.

**მიზნობრიობა:** სასადილოს ორგანიზება

**საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა შედგენს:** 1 კვ/მ ფართზე 8 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

**საკონკურსო ვადები:**

- საკონკურსო განაცხადის ***(საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო წინადადებების)*** მიღება იწარმოებს 2005 წლის 26 დეკემბრის 10 საათიდან 2006 წლის 6 იანვრის 15 საათამდე, კოსტავას N68 სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყბელის'' კანცელარიაში, განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები არ მიიღება;
- საკონკურსო განაცხადების გახსნის ვადაა 2006 წლის 6 იავრის 15 საათი;
- კონკურსის შედეგების გამოცხადება მოხდება 2006 წლის 10 იანვარს;

**საიჯარო ვადა:** 1 (ერთი) წელი

**საკონკურსო პირობები:**

- საიჯარო ფართზე საზ.კვების ობიექტის ორგანიზება

**საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე პირთა განაცხადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტის გათვალისწინებით.**

1. ყველაზე მაღალი საიჯარო ქირა - 0,4
2. მენიუს მრავალფეროვნება და პროდუქციის დაბალი ფასები - 0,4
3. საზოგადოებრივი კვების ობიექტის სამუშაო კვირისა და დღის ხანგრძლივობა - 0,2

საკონკურსო განაცხადი მოიცავს საკვალიფიკაციო მონაცემებსა და საკონკურსო წინადადებებს.

**საკავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

**ინდივიდუალური მეწარმე ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობა ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- ინდივიდუალურ მეწარმის რეგისტრაციის მოწმობა

**საკონკურსო წინადადებები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უნდა მოიცავდეს:**

1. პროდუქციის ჩამონათვალი და ფასები (მენიუ)
2. საიჯარო ქირის ოდენობა
3. სამუშაო კვირისა და დღის ხანგრძლივობა

ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან ...2 დღის ვადაში.

## სუპერ-ბებია და სუპერ-ბაბუა 2006

4 იანვარს 15 საათზე "კათარზისის" სათნოების სახლში გაიმართება ხანდაზმულთა მეორე კონკურსი: ცეკვაში, სიმღერაში, სასცენო ხელოვნებაში, თანამედროვე და თეატრალური კოსტუმების ჩვენებაში.

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საპენსიო ასაკის ქალბატონებსა და მამაკაცებს, რომლებიც არ არიან პროფესიონალი მსახიობები.

დაწესებულია პრემიები. ნომინაციებში გამარჯვებულთაგან ჟიური დაასახელებს სუპერ-ბებია და სუპერ-ბაბუა 2006-ის წოდების მფლობელებს.

მონაწილეობის მსურველები დაგვიკავშირდით "კათარზისში", 30 დეკემბრის ჩათვლით.

მისამართი: დ. აღმაშენებლის 121

ტელეფონი: 95-43-32; 95-77-85 (10 საათიდან 17 საათამდე,შაბათ-კვირის გარდა)

ზაურ-ლაზარე ალადაშვილი ასოციაციის პრეზიდენტი.






საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები

- თითოეული მუხლის კომენტარი
- ციტატები მომიჯნავე კანონებიდან
- ხარვეზები და წინააღმდეგობები
- ლაბირინთები და ხაფანგები
- პრაქტიკული მაგალითები და რჩევები

მეწარმის სამაგიდო წიგნი

მომზადდა და გამოიცა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში, ევრაზიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. კომენტარების შესაძენად მიაკითხეთ სასალო ქსელს ან ფედერაციას: წერეთლის 61, ტელ. 35 01 57; 35 43 97; 35 67 56.

ყურადღება!

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207